



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

საბა ჩიტაძის

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

სოციალური პლატფორმა და გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტში

ხელმძღვანელი: პროფესორი, გიორგი კვერენჩილაძე

თბილისი, 2019

სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
შესავალი.....	3
1. გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა ინტერნეტში	5
2. სოციალური ქსელის პლატფორმის მახასიათებლები და ძირითადი ასპექტები	10
2.1. სოციალური ქსელის არსი და მნიშვნელობა.....	10
2.2. სოციალური ქსელის შიდა და გარე რეგულაციები	14
2.3. ბლოკირება, ფილტრაცია, შინაარსის წაშლა და ანგარიშის დეაქტივიზაცია.....	21
3. სოციალურ მედიაში გამოხატვის თავისებურებები	27
3.1. პოლიტიკური ფიგურის ღია ანგარიშის პლატფორმაზე გამოხატვის ფარგლები	27
3.2. სოციალური მედიის პასუხისმგებლობა მესამე პირის მიერ გავრცელებული ინფორმაციისათვის	30
4. სოციალურ მედიაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები და საფუძვლები	35
4.1. ინტერნეტში გამოხატვის შეზღუდვის ზოგადი მახასიათებლები.....	35
4.2. დებინფომაციის, მცდარი ცნობების გავრცელება სოციალურ მედიაში.....	40
4.3. გამოხატვის თავისუფლებიდან მომდინარე მყისიერი საფრთხე და მასზე რეაგირება	50
5. ინტერნეტ შინაარსის რეგულირების სტანდარტები ქართული კანონმდებლობით	53
დასკვნა.....	58
ბიბლიოგრაფია	60

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს ინტერნეტში, კერძოდ, სოციალურ მედიაში გამოხატვის თავისუფლების რიგი ასპექტები და თავისებურებები. დღესდღეობით სოციალური პლატფორმა არის ყველაზე მზარდი და მასშტაბური კომუნიკაციის საშუალება, სადაც ინფორმაციის გავრცელება დროის უმოკლეს ვადებში ხდება. სოციალურ ქსელებში ყველა მომხმარებელს თანაბრად შეუძლია გამოთქვას აზრი, გააზიაროს პოსტი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს გამოხატვის თავისუფლებასთან. სწორედ ამიტომ ჩნდება ინტერნეტის კონფლიქტი და წარმოიშობა გამოხატვასა და სხვა დაცულ უფლებებს შორის გონივრული ბალანსის დადგენის საჭიროება. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება სოციალურ პლატფორმაში გამოხატვის თავისუფლების მასშტაბები და ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლები. ყურადღება გამახვილდება ისეთ პრობლემურ ასპექტებზე, როგორცაა სოციალური მედიის მეშვეობით დებინფორმაციის გავრცელება და უკანონო ინფორმაციის გავრცელებიდან მომდინარე მყისიერი საფრთხეების აღკვეთის პრობლემები. აგრეთვე, ნაშრომი შეეხება ინტერნეტში დაუშვებელი მასალის განთავსებაზე რეაგირების გზებს და ამ პროცესში სოციალური მედიისა და სახელმწიფოს როლს. ამას გარდა, მიმოიხილული იქნება ინტერნეტ შინაარსის რეგულირების ქართული საკანონმდებლო მოდელი.

შესავალი

ადამიანებს არქაული ეპოქიდან მოყოლებული, მათი სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, გაუჩნდათ სხვა პირებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის საჭიროება. აღნიშნული წინარესახელმწიფოებრივი უფლება კი ადამიანის ევოლუციასთან ერთად ვითარდება. გამოხატვის უპირველეს ფორმას ლაპარაკის მეშვეობით ინფორმაციის გადაცემა წარმოადგენს. ამის შემდგომ ადამიანებმა დაიწყეს გამოქვაბულებში ხატვა, იეროგლიფების და ანბანის შექმნა, რაც კაცობრიობის მიერ მოპოვებული ცოდნისა და იდეების შენახვისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის საშუალებას იძლეოდა. საბეჭდი მანქანის, სტამბების, ჟურნალ-გაზეთების გაჩენამ ინფორმაციის გადაცემა უფრო მასობრივი და საყოველთაო გახადა. ტელე-რადიო მაუწყებლობამ შეძლო გამოხატვის დროისა და საზღვრების გარღვევა. ინტერნეტმა კი ყოველი ადამიანისთვის შექმნა

ინფორმაციის გამოხატვისა და გადაცემის მარტივი პლატფორმა, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს ყველაზე სწრაფ, ხელმისაწვდომ და საყოველთაო სივრცეს ადამიანთა უმრავლესობისთვის.

სოციალური ქსელები 21-ე საუკუნის პირმშოა. ამ პლატფორმამ ადამიანთა სოციალური ურთიერთობების საკმაოდ დიდი სპექტრი ინტერნეტ სივრცეში გადაიტანა. დღესდღეობით, ადამინები ამ სივრცეში გამოხატავენ მათ იდენტობას, ტვირთავენ ფოტოებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებებს და ასახავენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებას. ეს პლატფორმა გამოიყენება, აგრეთვე, აზრის, შეხედულებების გამოქვეყნებისა და გაზიარების წყაროდ, ინტელექტუალური შემოქმედების, ნაწარმოების სოციუმისთვის გასაცნობად და გასაზიარებლად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სოციალური ქსელები სასიცოცხლო წყაროა პოლიტიკური მოსაზრებების წარმოსაჩენად, ხალხთა რეკრუტირების თვალსაზრისით და სახელმწიფოში სოციალურ-კულტურული ძვრების მოსახდენად.

თუმცა, ბუნებრივია, ინფორმაციის ამ მასშტაბებითა და მოცემულობით გავრცელებას თან სდევს გარკვეული სირთულეები. სოციალური მედიის თავისებურების გათვალისწინებით, ყველა მომხმარებელს შეუძლია შექმნას შინაარსი და გააზიაროს ინფორმაცია. ერთი მხრივ, იგი გვევლინება ინფორმაციის გავრცელების საყოველთაო მედიუმად, თუმცა, მეორე მხრივ, მსგავს შესაძლებლობას თან ახლავს ვებ-სივრცეში საზიანო, საფრთხის შემცველი ან/და უკანონო მასალის გავრცელება. შესაბამისად, ნაშრომის მთავარი მიზანია დაადგინოს ინტერნეტ-სივრცეში გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, ამ პროცესში სახელმწიფოსა და სოციალური მედიის რეგულირების მნიშვნელობა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები და მასზე რეაგირების მექანიზმები.

ნაშრომის 1-ლ თავში მიმოხილული იქნება ინტერნეტის, როგორც გამოხატვის თავისუფლების ახალი პლატფორმის როლი კომუნიკაციის, აზრებისა და იდეების გაცვლის პროცესში. ყურადღება გამახვილდება გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობასა და ინტერნეტ სივრცის თავისებურებებზე. ნაშრომის მე-2 თავი უშუალოდ შეეხება სოციალური პლატფორმის არსს და მის მახასიათებლებს. განხილული იქნება მისი რეგულაციის ტიპები და მექანიზმები, აგრეთვე ამ თავში წარმოდგენილია სოციალური მედიაში დაუშვებელ ინფორმაციაზე რეაგირების

გზები და საშუალებები. მე-3 თავი დაეთმობა სოციალური მედიაში გამოხატვის თავისუფლების ცალკეულ შემთხვევებს, როგორცაა საჯარო და პოლიტიკური ფიგურის გვერდზე მოსაზრების გამოთქმის, ინტერაქციისა და სხვა აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა. აგრეთვე, ხაზი გაესმება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა სოციალური მედიის მფლობელის პასუხისმგებლობა მის გვერდზე მესამე პირის აქტივობასთან დაკავშირებით. მე-4 თავი შეეხება სოციალურ მედიაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სათუძვლეს, მათ შორის კი ყურადღება გამახვილდება დეზინფორმაციის გავრცელებასა და მყისიერი საფრთხეების აღკვეთის მექანიზმებზე. მე-5 თავი კი დაეთმობა ინტერნეტ გამოხატვის თავისუფლების რეგულირების ქართული საკანონმდებლო მოდელის ანალიზს.

1. გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა ინტერნეტში

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია“. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება განამტკიცებს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას, გავრცელების საშუალებებისა და ხერხების კონკრეტიზაციის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას: „გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას“.¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს ... დემოკრატიული პროცესის მამოძრავებელია ის ძალა, სულიერი გავლენა, რომელიც აზრისათვის არის დამახასიათებელი. კონსტიტუცია იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს“.² ამდენად, გამოხატვის თავისუფლება ადამიანის არსებობის თანმდევი, განუყოფელი ელემენტია.³

ამავდროულად, „გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს არჩევანის შესაძლებლობას, რომ პირმა ისარგებლოს გამოხატვის საშუალებათა ფართო წრიდან მისთვის ყველაზე მისაღები ფორმით“.⁴ სასამართლოს მითითებით, „საქართველოს კონსტიტუციით დაცული გამოხატვის თავისუფლების ფარგლები მოიცავს არავერბალურ კომუნიკაციას, მათ შორის, აზრის და ინფორმაციის წერილობით, ტექნიკური საშუალებებით ან ვიზუალური გამოსახულების ფორმით გავრცელებას“.⁵ იგივე განმარტებას აკეთებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში ევროპული სასამართლო) ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში ევროპული კონვენციის) მე-10 მუხლით დაცულ სფეროსთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლოს მითითებით, მე-10 მუხლი იცავს არა მარტო გამოხატულ იდეათა და ინფორმაციის შინაარს, არამედ ასევე გამოხატვის ფორმას, მიუხედავად იმისა თუ რა მედიუმი ან ენა იქნა გამოყენებული მათი გადმოცემისთვის.⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ გამოხატვის თავისუფლება *inter alia* იცავს პირის უფლებას, აირჩიოს ინფორმაციის გავრცელების მისთვის მისაღები საშუალება.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-13.

³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მუჟაუნაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მუჟაუნაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

⁶ European Court of Human Rights, Savgin v. turkey, 13304/03, 02/02/2010, 32.

თანამედროვე საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, ტექნოლოგიური ევოლუციის პირობებში, მაშინ, როდესაც ინტერნეტზე წვდომის უფლება კონსტიტუციურ რანგში იქნა აყვანილი⁷, და როდესაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, დისკუსიების გამართვის, არგუმენტების შეპირისპირების მარტივად ხელმისაწვდომ, ყველაზე პოპულარულ სივრცეს სოციალური ქსელი წარმოადგენს, ამ საშუალებით ინფორმაციის გავრცელებისათვის აუცილებელი, საკმარისი კომპონენტებით სარგებლობა განსაკუთრებულ შინაარსს იძენს. შესაბამისად, ინტერნეტითა და სოციალური ქსელით ინფორმაციის გავრცელება, ამ გზით საკუთარი პოზიციების დაფიქსირება თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. აღიარებულია, რომ ინტერნეტთან კავშირისა და კავშირგაბმულობის საშუალებების გარეშე, გამოხატვისა და მედიის თავისუფლება დაკარგავდა თავის არსს ონლაინ სამყაროში.

ინტერნეტი ამ დროისათვის კვლავ ახალბედა პლატფორმაა, რის გამოც ხშირ შემთხვევაში იგი დამოუკიდებელად, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება, არ არის ჩამოყალიბებული. თუმცა, ინტერნეტზე საყოველთაო წვდომის უფლება გვხვდება საერთაშორისო დოკუმენტებში, მაგალითად, 2011 წლის გაეროს სპეციალურ ანგარიშში გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, აღინიშნა, რომ ინტერნეტთან წვდომა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი დროს, განსაკუთრებით კი პოლიტიკური მღელვარების პერიოდში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ღონისძიებები ორი მიმართულებით, ერთი მხრივ, თავად ინტერნეტში კონკრეტულ მასალაზე წვდომის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერნეტის ინფრასტრუქტურის გამართულად მიწოდება. გარდა ამისა, ინტერნეტის მიწოდების პოზიტიური ვალდებულება აღნიშნულია სხვადასხვა დეკლარაციებში, ხოლო რიგ სახელმწიფოებს (მათ შორის, საბერძნეთს, საფრანგეთს, ფინეთს, ესტონეთს) აღნიშნული ძირითად უფლებად კონსტიტუციით აქვთ გამტკიცებული.⁸

ინტერნეტი მილიონობით ადამიანს შესაძლებლობას აძლევს დაამყაროს კომუნიკაცია სხვა პირებთან და მიიღოს ინფორმაციათა ფართო სპექტრი მთელი მსოფლიოსგან. იგი არის მსოფლიოს მასშტაბით ადამიანთა კომუნიკაციის

⁷ იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი

⁸ Article 19, freedom of expression and ICTs: overview of international standards, 2013, 13.
<https://www.article19.org/wp-content/uploads/2018/02/FoE-and-ICTs.pdf> [13/07/2019]

უნიკალური და მთლიანად ახალი მედიუმი, რომელიც წარმოადგენს უჩვეულოდ ზრდად ქსელს. ინფორმაციის გამომქვეყნებლის, გამზიარებლის თვალსაწიერიდან, ინტერნეტი წარმოადგენს ფართო პლატფორმას, რომლიდანაც შეგიძლია მიმართო მსოფლიო მასშტაბის აუდიტორიას - მილიონობით მკითხველს, მნახველს, მკვლევარსა და მყიდველს.⁹

გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტ პლატფორმის მეშვეობით ჩვეულებრივ ადმიანებს საშუალებას აძლევს თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა იდეების გაცვლისა და აზრის შექმნის პროცესში, რაც მათ აყალიბებს პიროვნებად. დემოკრატიული კულტურა ასეთად აღიქმება იმ არსით, რომ არამხოლოდ პოლიტიკოსებს, ეკონომისტებს ან კულტურულ ელიტას, არამედ, ყველას აქვს სამართლიანი შანსი იდეებისა და აზრების განვითარებით, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მიმდინარე პროცესებში, რაც აყალიბებს მათ საზოგადოებად. ადმიანებს უვითარდებათ აზრები და შეხედულებები სწორედ იდეების განვითარების პროცესში, ვინაიდან ისინი მონაწილეობენ მათ შექმნას, ფორმირებასა და გავრცელებაში.¹⁰

სოციალურ ქსელით გავრცელებული ინფორმაცია, ატარებს კონკრეტულ იდეას, ემსახურება საზოგადოების ინფორმირებას პოლიტიკური, კულტურული, სოციალური ან სხვა ინტერესის სფეროსთან დაკავშირებით. შესაბამისად, ფართო და მრავლისმომცველია გამოხატვის ამ საშუალებით საზოგადოების ინფორმირებულობის მასშტაბი. ამასთანავე, ინტერნეტისა და სოციალური ქსელის საშუალებით ინფორმაცია მარტივად ფარავს ადრესატთა ფართო წრეს და ხშირად ხელისუფლების ან/და საზოგადოების ყურადღების მიპყრობის ერთადერთი ან ყველაზე ეფექტური საშუალება ხდება. მიმდინარე, აქტუალური მოვლენების შესახებ შეხედულებისა და მოსაზრების გამოხატვისას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროულობას და მყისიერებას.¹¹ ინტერნეტით ინფორმაციის

⁹ Supreme Court of United States, *Reno v. ACLU*, 26/06/1997, 521, U.S. 844.

¹⁰ Jasmine Renner, *Ivy Click, The writing on My Wall: Freedom of Expression, First amendment, and Social Media – New faculty rights concerns*, 2014, 355.

https://www.researchgate.net/publication/270875533_The_Writing_on_My_Wall_Freedom_of_Expression_First_Amendment_and_Social_Media_-_New_Faculty_Rights_Concerns [13/07/2019]

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მუჯავანაძე და ილია მაღაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32.

გავრცელებისა და მიღების შესაძლებლობა კი ცალკეულ შემთხვევაში, საზოგადოების დროული ინფორმირებულობისა და ეფექტური რეაგირების საშუალებას წარმოადგენს. ამგვარად, ინტერნეტის მეშვეობით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, თანამედროვე საზოგადოების კონსტიტუციურ მოთხოვნაა.

გარდა ამისა ინტერნეტი და კერძოდ, სოციალური ქსელი არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სახელმწიფოთაშორისი სოციალური კავშირებისა, საპროტესტო აქციების კოორდინაციისთვის და ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ინტერნეტი აძლიერებს კოორდინაციას პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, პოლიტიკურ მიზნებს ანაცვლებს ლოკალურიდან სახელმწიფოთაშორისომდე და აკავშირებს მსოფლიო მასშტაბის პრობლემებს. ინტერნეტი არის სოციალური ძვრებისთვის დამოუკიდებელი და ძლიერი მექანიზმი. ამ მხრივ, ნათელი მაგალითია სოციალური მედიის როლი პროტესტის მხარდაჭერისა და კოორდინაციისთვის არაბული გაზაფხულის მიმდინარეობისას. ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შეზღუდული წვდომის პირობებში, ხალხს არ ეწყნებოდა შესაძლებლობა გამოეყენებინათ ციფრული პლატფორმა პოლიტიკური დებატების წარმართვისთვის, ინფორმაციის გავრცელებისთვის, პოლიტიკური ცოდნის გაზიარებისთვის და პროტესტში მონაწილეობისთვის. არაბულ გაზაფხულამდე მსგავსი სცენარი განვითარდა ტუნისსა და ეგვიპტეში, და ვითარდება დღესდღეობით სხვადასხვა ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენების შემდგომ ირანის ხელისუფლებამ დაამყარა სერიოზული კონტროლი ინტერნეტზე, განახორციელა დაშინება, ინტერნეტში რეჟიმის კრიტიკოსების დაპატიმრება და ონლაინ ინფორმაციის ფილტრაცია. ამგვარად, მსგავსი დაბრკოლებები, ზღუდავს სოციალურ მედიას შექმნას მთლიანად დემოკრატიული სივრცე დებატებისთვის.¹²

¹² Andrea Calderaro, Social media and politics, 2018, 792.

https://www.researchgate.net/publication/322273564_Social_Media_and_Politics [13/07/2019]

2. სოციალური ქსელის პლატფორმის მახასიათებლები და ძირითადი ასპექტები

2.1. სოციალური ქსელის არსი და მნიშვნელობა

სოციალური მედიის ვებ-გვერდები ხშირ შემთხვევაში ყველაზე კარგად უზრუნველყოფენ ერთი მოქალაქის ხმის გაძლიერებას. ისინი შესაძლებლობას აძლევენ პირს ინტერნეტთან კავშირით გახდნენ ქალაქის მაუწყებლები და მიაწვდიან ხმა უფრო შორს ვიდრე ეს შესაძლებელი იყო პატარა ტრიბუნებიდან. ადამიანის გამორიცხვა სოციალური მედიით სარგებლობისგან არის აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის შეზღუდვა. ამრიგად, ეს სივრცე არის ინტერნეტითა და ციფრული ტექნოლოგიებით მსოფლიო იდეებზე წვდომის საშუალება.¹³

აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული ფუნდამენტური პრინციპი, ყველა ადამიანს ალტურვას უფლებით ჰქონდეს წვდომა იმ სივრცეზე, სადაც შეძლებს მისი იდეის გამოხატვას ან ინფორმაციის მიღებას. ქუჩები და სკვერები არის ძირითადი და ტრადიციული ფორუმი აზრის გამოხატვის უზრუნველსაყოფად. თუმცა, თუ წარსულში რთული დასადგენი იყო გამოხატვისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილის იდენტიფიცირება (სივრცული თვალსაზრისით) ხედვებისა და მოსაზრებების გასაცვლელად, დღესდღეობით ამაზე პასუხი მკაფიოა. ციფრულ ეპოქაში ყველაზე აქტუალური დემოკრატიული ფორუმი არის კიბერსივრცე, ზოგადად ინტერნეტი და კერძოდ, კი სოციალური მედია საშუალებები. სოციალური მედია გვთავაზობს შედარებით ულიმიტო, დაბალბიუჯეტო შესაძლებლობას ყველა ტიპის კომუნიკაციისთვის, მისი მომხმარებლები სარგებლობენ სხვადასხვა ვებ-გვერდებით, რომელიც ფართო სპექტრით უზრუნველყოფს შემეცნებას და ინფორმაციის მიღებას თემებზე, რომელიც ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ადამიანის თიქრები.¹⁴

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პოზიციით, ზოგადად ინტერნეტი და კერძოდ, სოციალური მედია საშუალებები არის უმნიშვნელოვანესი ადგილი აზრის გამოხატვისა და მოსმენისთვის. სოციალური მედიის, ფეისბუქის, თვითერის, იუთუბის, ან ინსტაგრამის მომხმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს პლატფორმა

¹³ Supreme Court of United States, *Pachingham v. North Carolina*, 19/06/2017, 137 S. Ct. 1730, 3.

¹⁴ Supreme Court of United States, *Pachingham v. North Carolina* 19/06/2017, 137 S. Ct. 1730, 2.

სახელოვნებო ნაწარმოების გაზიარებისთვის, სიახლეების დასაპოსტად, პოლიტიკურ საკითხებზე დებატებისთვის ან/და მათი ცხოვრებისეული მოვლენების დოკუმენტირებისათვის. სოციალური მედია მიმზიდველი სივრცეა რეკლამების განთავსებისა და პიარ-კამპანიის წარმოებისთვის. ამდენად, ეს პლატფორმა გვთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც მოიაზრება კონსტიტუციის აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ სიკეთეებად.¹⁵

ამრიგად, სოციალური ქსელი ასახავს, არამხოლოდ ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებისეულ მოვლენებს, არამედ წარმოადგენს აზრის გამოხატვის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ბერკეტს. პოლიტიკოსთა უმეტესობა, აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს მათი პოლიტიკური მოსაზრებებისა თუ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების აუდიტორიისთვის გასაცნობად. ამის ნათელი მაგალითია აშშ-ს პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, თვითერი, რომელსაც ამ დროისათვის 61 მილიონზე მეტი მიმდევარი ყავს და მისი გვერდი არის უმნიშვნელოვანესი წყარო პოლიტიკური მოვლენების გასაცნობად.¹⁶ ამასთანავე, ბოლო ათწლეულია სოციალური ქსელების მეშვეობით ანონსდება და იგეგმება მასშტაბური აქციები, შეკრებები და მანიფესტაციები. სოციალური ქსელის მეშვეობით დაიგეგმა არაერთი დემონსტრაცია. ასეთ მოვლენებად კი შეგვიძლია დავასახელოთ ფეისბუქის მეშვეობით საქართველოში რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ ორგანიზებული აქციები, სახელწოდებით „სირცხვილია“¹⁷ აგრეთვე მკაცრი ნარკოპოლიტიკის, თბილისის ღამის კლუბებში შეჭრის საპროტესტო აქციები.¹⁸

სოციალური მედიის სწრაფად განვითარებადი ბუნებისა და პლატფორმის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რთულია იმაზე შეთანხმება თუ რა არის სოციალური მედია. ერთ-ერთი განმარტებით, სოციალური მედია არის ონლაინ რესურსი, რომლებსაც ხალხი იყენებს შინაარსების გასაზიარებლად: ვიდეო,

¹⁵ Valerie C. Brannon, Free speech and the regulation of social media content, 2019, 2.

<https://fas.org/sgp/crs/misc/R45650.pdf> [13/07/2019]

¹⁶ აშშ-ს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის თვითერი

https://twitter.com/realDonaldTrump?ref_src=twsrc%5Egoogle%7Ctwcamp%5Eserp%7Ctwgr%5Eauthor [13/07/2019]

¹⁷ #სირცხვილია! 14.0 — საქართველოს პარლამენტთან საპროტესტო აქცია გრძელდება

<https://urlzs.com/f9kPT>

¹⁸ Tbilisi: We dance together, we fight together.

<https://boilerroom.tv/session/boiler-room-georgia-bassiani> [13/07/2019]

ფოტო, სურათები, ტექსტი, იდეა, შეფასება, იუმორი, მოსაზრებები, ჭორები და ახალი ამბები. სხვა განმარტებით, სოციალური მედია ეს არის საშუალება ნებისმიერ პირისათვის: გამოაქვეყნოს ინფორმაცია ან შექმნას შინაარსი, მიიღოს და გაავრცელოს უკუკავშირები ონლაინ დისკუსიაში, დააკომენტაროს და შეაფასოს შინაარსი. სოციალური მედია ეს არის საზოგადოების წევრების აქტივობა, რომლებიც შეიკრიბნენ, რათა ონლაინ გაეზიარებინათ ინფორმაცია, ცოდნა და მოსაზრებები სასაუბრო მედიის მეშვეობით. ამდენად, სოციალური მედია შეიძლება აღქმულ იყოს როგორც ონლაინ პლატფორმა ურთიერთობებისთვის, თანამშრომლობისთვის, სხვადასხვა სახის ციფრული შინაარსის შექმნისა და გაზიარებისთვის. სოციალური მედია ტრადიციული მედიისგან განსხვავებით, არა მხოლოდ აწვდის ინფორმაციას მომხმარებლებს, არამედ აძლევს კომუნიკაციისა და ინტერაქციის შესაძლებლობას.¹⁹ იგი მოიცავს ელექტრონული კომუნიკაციის ფორმებს, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები ქმნიან ონლაინ საზოგადოებას, რათა გაუზიარონ ერთმანეთს ინფორმაცია, იდეები, პერსონალური მესიჯები და სხვა შინაარსები.²⁰

სოციალური მედია ბოლო წლებში სოციალური ქსელის სინონიმი გახდა, და გაიგივდა ისეთ პლატფორმებთან როგორცაა ფეისბუქი ან მიკრობლოგები, მაგალითად თვითერი. თუმცა, ფართო გაგებით სოციალური მედია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ნებისმიერი ინტერნეტ პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს აძლევს ინტერაქციული კომუნიკაციის შესაძლებლობასა და მომხმარებლის მიერ შინაარსის, (მაგ., პოსტების) შექმნის შესაძლებლობას.²¹

სოციალური მედიის რამდენიმე ძირითადი სახე გამოიყოფა, სხვადასხვა ავტორების მიერ შემოთავაზებულია განსხვავებული კლასიფიკაცია, ძირითადად კი სოციალური მედია 4 ქვეკატეგორიად იყოფა, ესენია: სოციალური ქსელები, ბლოგები, ვიკი და ფორუმები / ონლაინ მესიჯ დაფები. მათგან კი ყველაზე

¹⁹ Sylva M. Chan-Olmsted, Moonhee Cho, Sangwon Lee, User Perceptions of social media: A comparative Study of perceived characteristics and user profiles by social media, 2013, 151.

<https://pdfs.semanticscholar.org/4a62/c2e08d6a18664968f58c059fa19092b05e38.pdf> [13/07/2019]

²⁰ Paulina Wu, impossible to regulate: social media, terrorists, and the role for the U.N., 2015, 286.

<https://chicagounbound.uchicago.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1690&context=cjil> [13/07/2019]

²¹ Department of electronic and information technology, Framework & Guidelines for use of social media for government organizations, 2011, 6.

<http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/cgg/unpan047510.pdf> [13/07/2019]

პოპულარული ფორმა არის სოციალური ქსელები, რომლებიც პირებს აძლევენ შესაძლებლობას შექმნან საკუთარი გვერდი, გააზიარონ შინაარსი და დაამყარონ ონლაინ კომუნიკაცია.²²

ამრიგად, სოციალური მედია საერთო ტერმინია და მოიცავს სხვადასხვა ონლაინ პლატფორმას მრავალფეროვანი ატრიბუტებით, განსხვავებული კომუნიკაციის ფორმატითა და სოციალიზაციის ფუნქციით, თუმცა ამის მიუხედავად, არსებობს გარკვეული მახასიათებლები, რომლებიც საერთოა ყველა სოციალური მედია აპლიკაციისთვის.

თანამონაწილეობა - სოციალური მედიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა თანამონაწილეობა, რაც მხარეებს შესაძლებლობას აძლევთ ჩაერთონ ინტერაქციაში. სოციალური მედია არღვევს საზღვრებს მედიასა და აუდიტორიას შორის. პირების მიერ უშუალო მონაწილეობა შინაარსის შექმნასა და გაზიარებაში არის სოციალური მედიის მთავარი ღირებულება.

საუბარუნარიანობა - განსხვავებით ტრადიციული მედია საშუალებისგან, (ტელე/რადიო, გაზეთებისგან) რომლებიც მხოლოდ სწორხაზოვნად გვანვდის ინფორმაციას, სოციალური-მედია გვთავაზობს ორმხრივი კომუნიკაციის, უკუკავშირების, კომენტირების შესაძლებლობას. ამრიგად, ინფორმაციის დამდები არის არა მხოლოდ ინფორმაციის წყარო, არამედ მისი განხილვის თანამონაწილე.

დაკავშირებულობა - სოციალური ქსელების მეშვეობით მყარდება ინტერპერსონალური, საზოგადოებრივი ან/და საერთო სოციალური კავშირი. მისი მეშვეობით პირები უფრო მეტად გრძნობენ კავშირს გარე სამყაროსთან და თამამად უზიარებენ სხვებს გამოცდილებას. სოციალური მედია წარმოადგენს სპეციფიკურ შესაძლებლობას ახალი კავშირებისა და ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

ერთიანობა - სოციალური მედია შესაძლებლობას აძლევს ინდივიდებს აფილირება მოახდინონ იმ ხალხთან ან სოციალურ ჯგუფთან, რომელთანაც მათ სურთ ასოცირება. ეს პლატფორმა მომხმარებლებს აძლევს ქვე-საზოგადოების, კომუნის, ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობას და შემდგომ ამ ურთიერთობების ეფექტურად კოორდინაციის საშუალებას. ასეთად მოიაზრება, მაგალითად,

²² Corinne Tan, Regulating content on social media, 2018, 20.

<http://discovery.ucl.ac.uk/10045814/1/Regulating-Content-on-Social-Media.pdf> [13/07/2019]

ფეისბუქზე არსებული კოლეჯის სტუდენტების გაერთიანება. ასე რომ, სოციალური მედია აკავშირებს ინდივიდებს, რომლებიც გამოხატავენ მათ მოსაზრებებს, და იკრიბებიან საერთო იდეის გარშემო, მათი საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად.

ღიაობა - სოციალური მედია არის ყველაზე მოქნილი, მარტივი და ღია საშუალება ინფორმაციაზე წვდომისა და კომენტირებისთვის. მედია საშუალებები არსობრივი დაბრკოლებების გარეშე გვთავაზობენ გარკვეულ მექანიზმებს უშუალო ინტერაქციასა და კომუნიკაციისთვის. გარდა მცირე, მინიმალური საზოგადოებრივი სტანდარტებისა, სოციალური პლატფორმა უზრუნველყოფს ინფორმაციაზე პირების მაქსიმალურ წვდომასა და კრიტიკას შესაძლებლობას.²³

2.2. სოციალური ქსელის შიდა და გარე რეგულაციები

ისევე როგორც რეალურ სივრცეში, ონლაინ სივრცეშიც გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება შეზღუდვებს. სოციალურ ქსელში ყველა მომხმარებელს თანაბრად აქვს შესაძლებლობა გამოხატოს თავისი აზრი, გააზიაროს პოსტი ან გარკვეული შინაარსის მქონე ფოტო/ვიდეო. ზემოაღნიშნულმა თავისუფლებამ შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი მომხმარებლებს შორის, დისკუსია სენსიტიურ თემებზე და ა.შ. გამოხატვის უფრო მწვავე, რადიკალურმა და ექსტრემისტულმა ფორმებმა კი შესაძლოა მძიმე და დამანგრეველი შედეგები გამოიწვიოს საზოგადოებისთვის. სწორედ ამიტომ, ონლაინ სივრცეში დადგენილია გარკვეული სტანდარტები, რომლებიც მომხმარებლებმა უნდა დაიცვან გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას.

სოციალური მედია ხასიათდება რეგულაციის თავისებური სპეციფიკით. ამ სფეროში რეგულაციები არ მოიცავს მხოლოდ სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ წესებს. აღნიშნული ნორმატიული აქტები მართლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს გამოხატვის სფეროს რეგულირებასთან მიმართებით, თუმცა ამას გარდა სოციალურ სფეროში

²³ Sylva M. Chan-Olmsted, Moonhee Cho, Sangwon Lee, User Perceptions of social media: A comparative Study of perceived characteristics and user profiles by social media, 2013, 156.

<https://pdfs.semanticscholar.org/4a62/c2e08d6a18664968f58c059fa19092b05e38.pdf> [13/07/2019]

გამოხატვის ფარგლები და შინაარსი ასევე ექვემდებარება სოციალური ქსელების მიერ დადგენილ საზოგადოებრივ სტანდარტებს (ე.წ. შიდა რეგულაცია).

სოციალური ქსელების მიერ რეგულირების დადგენა გამოწვეულია მათი პრესტიჟის, რეპუტაციისა და სოციალური ქსელის, როგორც უსაფრთხო გარემოს აღქმის შესაქმნელად. სოციალური მედიის მიზანია, მის მომხმარებლებს ქსელის სარგებლობისას ჩამოუყალიბდეთ ჯანსაღი ინტერაქცია და არ გადააწყდნენ ისეთ მასალას, რომელიც შოკისმომგვრელი იქნება მათთვის და დაუკარგავთ ამ სივრცეში დაბრუნების სურვილს.

აღსანიშნავია ისიც თუ როგორ თანაარსებობენ ონლაინ სივრცეში ერთი მხრივ, სოციალური მედიის სტანდარტები, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონმდებლობა. სოციალური მედიის რეგულირების სფეროში არსებობს სხვადასხვა ტიპის სისტემები, რომელიც დამოკიდებულია სახელმწიფოს კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ტრადიციებზე. ზოგადად კი გამოიყოფა სამი სახის რეგულაცია:

- საკანონმდებლო რეგულაციის მოდელის თანახმად, მედია რეგულირების სფეროში ნებისმიერი შეზღუდვა ან რეაგირების მექანიზმი მიიღება პარლამენტის მიერ. იგი ხასიათდება სახელმწიფოს მხრიდან ინტენსიური ჩარევით. სახელმწიფოს ამგვარი პოლიტიკა ძირითადად მიმართულია მედია სფეროში აკრძალული გამოხატვის განსაზღვრისა და მისი წაშლის მექანიზმების შემოღებისაკენ.²⁴ ამასთან, სახელმწიფოს მიერ ამ სფეროს მონესრიგება სხვადასხვა ქვეყანაში ხასიათდება განსხვავებული ინტენსივობით. ყურადსაღებია ისიც რომ ვებ-სივრცის სკრუპულოზურმა მონესრიგებამ და მედია საშუალებისათვის მიხედულების არეალის მკაცრად შეზღუდვამ შესაძლოა გამოხატვის თავისუფლების რიგი ასპექტების დარღვევამდე მიგვიყვანოს.

- თანარეგულირების მოდელს, ხანდახან ეწოდება დარეგულირებული თვითრეგულირება. ძირითადად იგი წარმოადგენს თვითრეგულირების შედეგად მიღებულ იმ წესრიგს, რომელიც მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ.²⁵ ამ

²⁴ Article 19, Self-regulation and “hate speech” on social media platforms, 2018, 9.

https://www.article19.org/wp-content/uploads/2018/03/Self-regulation-and-%E2%80%98hate-speech%E2%80%99-on-social-media-platforms_March2018.pdf [13/07/2019]

²⁵ იქვე

სისტემის დროს, სახელმწიფო, ხშირ შემთხვევაში, პრინციპების დონეზე არეგულირებს სოციალურ მედია სივრცეს, უტოვებს მას მიხედულების ფართო ფარგლებს, რომლებიც შემდგომ ქმნიან საკუთარი პლატფორმის პოლიტიკას. თუმცა, ამ პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები მაინც შეთანხმებულია სახელმწიფოსთან.

▪ თვითრეგულირების მოდელი არის იმგვარი მექანიზმი, რომელიც მთლიანად ეფუძნება სოციალური მედიის მიერ ნებაყოფლობით დადგენილ წესებს. ხოლო, კანონმდებლობა არანაირ როლს არ თამაშობს შესაბამისი სტანდარტების დადგენასა და აღსრულებაში. რეგულირების საფუძველს კი წარმოადგენს მედიის წევრების ანგარიშვალდებულება ხალხის წინაშე, მომხმარებელთა შორის ურთიერთობის გაღრმავება და ეთიკური სტანდარტების პატივისცემა. ამ რეგულაციების შემოღებასა და აღსრულებას კი განაპირობებს არა სანქციის შიში, არამედ ისეთი პოზიტიური საფუძვლები, როგორცაა ღირებულებებისა და ეთიკის პატივისცემა და ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბება.²⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ თუ რა ნორმებს ადგენს სოციალური მედია და სახელმწიფო ამ ურთიერთობების მოწესრიგებისთვის. სოციალური მედიის მიერ დადგენილი აკრძალვები, როგორც წესი, აღსრულებადია ისეთი სანქციების მეშვეობით, როგორცაა ანგარიშისა ან შინაარსის წაშლა, პირის ბლოკირება.

სოციალურ მედია საიტებზე წვდომის მისაღებად მომხმარებლებს უწევთ დათანხმდნენ სერვისის პირობებსა და საზოგადოებრივი გაიდლაინების პატივისცემას. ეს სტანდარტები კი განსაზღვრავს თუ რომელი შინაარსია მისაღები და მიუღებელი ამა თუ იმ პლატფორმაზე. შეთანხმება და პირობები ზოგადად დგინდება ცალმხრივად, სოციალური მედიის მიერ. აღსრულების თვალსაზრისით, სოციალური პლატფორმები შლიან შინაარსს მათი ქსელიდან თუ იგი არ შეესაბამება საზოგადოებრივ სტანდარტებს. პროცედურა კი იწყება გარეგანი წნეხების ან მომხმარებელთა საჩივრების საპასუხოდ ან მათივე ინიციატივით. თუმცა დომინანტური მედია პლატფორმების მიერ არსებულ თვითრეგულირების მექანიზმებს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული ნაკლოვანებები ამ ურთიერთობებში

²⁶ იქვე

წარმოშობილი პრობლემებთან მიმართებით. ამ პროცესში შესაძლებელია ნაკლებად იქნას გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები, სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპები, გამჭვირვალობის, სოციუმის ჩართულობისა და თანხმობის მოთხოვნები.²⁷

შიდა რეგულაციების მკაფიო მაგალითია სოციალური ქსელების, ფეისბუქის, თვითერის, ინსტაგრამის საზოგადოებრივი სტანდარტები. ფეისბუქს თავისი სოციალური პლატფორმის რეგულირებისთვის დადგენილი აქვს სერვისის პირობები. სტანდარტების თანახმად, მისი შემოღების მიზანია თავისუფალი გამოხატვის წახალისება და ონლაინ სივრცეში უსაფრთხო გარემოს შექმნა. აღნიშნული სტანდარტები დაფუძნებულია დარგობრივი ექსპერტების ცოდნასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე. ხოლო პოლიტიკა ემყარება ისეთ პრინციპებზე, როგორცაა, უსაფრთხოება, გამოხატვა და თანასწორობა.²⁸

ფეისბუქს მკაცრი რეაგირება აქვს დანაშაულსა და მის წაქეზებაზე. მისი აღმოფხვრის მიზნით იშლება შინაარსები, უქმდება ანგარიშები და რიგ შემთხვევებში მუშაობა წარიმართება სამართალდამცავ ორგანოებთანაც, როდესაც არსებობს მყისიერი საფრთხე ფიზიკური დაზიანების ან აშკარა პირდაპირი მუქარა საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, მკაცრად კონტროლირებული ისეთი ანგარიშები ან გვერდები, რომელიც შეეხება ტერორისტულ აქტივობებს, ორგანიზებულ სიძულვილს, მასობრივ ან სერიულ მკვლელობებს, ადამინების ვაჭრობას ან ორგანიზებულ ძალადობას, ასევე ფეისბუქი შლის შინაარსებსა და ანგარიშებს, რომელიც მიემართება მათ წახალისებას ან მომხმარებლების მიერ მათ ქებას.²⁹

უსაფრთხოების თვალსაზრისით ფეისბუქი აგრეთვე ზღუდავს სუიციდისა და თვითდაზიანების, ბავშვთა სიშიშვლისა და სექსუალური ექსპლუატაციის,

²⁷ Article 19, Self-regulation and “hate speech” on social media platforms, 2018, 15.

https://www.article19.org/wp-content/uploads/2018/03/Self-regulation-and-%E2%80%98hate-speech%E2%80%99-on-social-media-platforms_March2018.pdf [13/07/2019]

²⁸ Facebook community standards

<https://www.facebook.com/communitystandards/introduction> [13/07/2019]

²⁹ Facebook community standards

<https://www.facebook.com/communitystandards/introduction> [13/07/2019]

მოზარდთა სექსუალური ექსპლუატაციის, ჩაგვრისა და შევიწროებასთან დაკავშირებული ინფორმაციების გავრცელებას.³⁰

ფეისბუქის სტანდარტებისთვის აგრეთვე შეუსაბამოა ისეთი შინაარსის გამოხატვა, როგორცაა სიძულვილის ენა, ძალადობრივი შინაარსი, ზრდასრულთა სიშიშვლე და სექსუალური აქტივობა, სექსუალური მომსახურება, სიბოროტე ან/და გულგრილობა.³¹

გარე რეგულაციები კი წარმოადგენს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სოციალურ ქსელებში არსებული შინაარსის რეგულირებას. დადგენილი ნორმების აღსრულება კი შესაძლებელია როგორც შინაარსებისა და ანგარიშების ნაშლითა და დაბლოკვით, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობით.

გარე რეგულაციებთან მიმართებით აღსანიშნავია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ 2017 წელს მიღებული „ინტერნეტის აღსრულების აქტი“ (NetzDG) აღნიშნული კანონი ითვალისწინებს სოციალური ქსელის დაჯარიმების შესაძლებლობას 50 მილიონ ევრომდე, თუ ისინი არ ნაშლიან აშკარად უკანონო შინაარსის პოსტებს საჩივრის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. (ან ერთი კვირის განმავლობაში, თუ მკაფიო არ არის შინაარსის უკანონობა).³²

გერმანიის იუსტიციის მინისტრის განმარტებით, ონლაინ პლატფორმის უფლებამოსილება, ნებაყოფლობით ნაშალოს უკანონო მასალა, ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია. კვლევების თანახმად, თვითერი შლის მხოლოდ 1% შინაარსს, რომელზეც მომხმარებლებმა მონიშნეს უკანონოდ ხოლო ფეისბუქი მხოლოდ 39% შინაარსს.³³ ამდენად, საჭირო იყო უკანონო მასალის ნაშლისთვის ეფექტური მექანიზმების შემოღება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა შეფასებით ნორმები არ არის ვინცოდ მიზანმიმართული საშუალება, რომელიც თანაბრად

³⁰ იქვე

³¹ იქვე

³² Charlotte Spencer-Smith, Dealing with hate speech on social media, 2018, 8.

<https://static1.squarespace.com/static/5a04d25332601e4102718c45/t/5a85fbb70d92975679fa18db/1518730167290/Hate+Speech+on+Social+Media.pdf> [13/07/2019]

³³ Klara Votavova, Jakub Janda, Making online platforms responsible for news content, 2017, 11.

https://www.kremlinwatch.eu/userfiles/making-online-platforms-responsible-for-news-content_15220851525026.pdf [13/07/2019]

უმრუნველყოფს სოციალური მედიის თვითრეგულირების უფლებასა და გამობატვის თავისუფლებას.³⁴

სოციალური მედიის გარე რეგულაციების მექანიზმები დადგენილია, აგრეთვე, იტალიის კანონმდებლობითაც. 2017 წელს იტალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიზანიც იყო ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლა. კანონი დასჯადად აცხადებდა ყალბი, გაზვიადებული ან ტენდენციური ახალი ამბების დაპოსტვას ან გაზიარებას, რისთვისაც ადგენს ჯარიმას 5 ათას ევრომდე. კანონი ადგენს თავისუფლების აღკვეთას ყალბი ცნობების სერიოზული და მწვავე ფორმებით გავრცელების შეთხვევაში, მაგალითად, თუ იგი აღძრავდა დანაშაულის ჩადენის ან ძალადობის სურვილს. კანონი, აგრეთვე, ითვალისწინებდა სოციალური მედია პლატფორმის ვალდებულებას მონიტორინგი განეხორციელებინა ასეთი ამბებისთვის. ამასთანავე იტალიის ხელისუფლებამ შექმნა ონლაინ პორტალი, სადაც ხალხს შეეძლო ასეთი სიახლეების დარეპორტება (შეტყობინება). პორტალი სთავაზობდა მომხმარებლებს შესაძლებლობას მიენოღებინა ელ-ფოსტა, დებინფორმაციის ვებ-მისამართი და სოციალური ქსელი, სადაც განთავსებული იყო ეს ინფორმაცია. ამ ანგარიშებზე ზედამხედველობას და რეაგირებას კი ახდენდა იტალიის პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულების ჯგუფი.³⁵

აგრეთვე, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა მტკიცედ გადამწყვიტა ყალბ ინფორმაციაზე გალაშქრება. მისმა საპარლამენტო უმრავლესობამ წარადგინა მყისიერი სამართლებრივი მოქმედების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა. კანონის მიზნად განისაზღვრა ინტერნეტში მცდარი ინფორმაციისა და ჭორებისა გავრცელების აღკვეთა წინა საარჩევნო კამპანიის დროს. ცხარე დებატების და რამოდენიმე რედაქტირების შემდეგ კანონი მიღებულ იქნა. ყველაზე დიდ პრობლემას კი წარმოადგენდა პალატის ეჭვი, რომ იგი შექმნიდა სამომავლო რისკებს კომუნიკაციის თავისუფლებით სარგებლობისას. თუმცა საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭომ იგი კონსტიტუციასთან შესაბამისად ცნო. საბჭომ აღნიშნა,

³⁴ Charlotte Spencer-Smith, Dealing with hate speech on social media, 2018, 8.

<https://static1.squarespace.com/static/5a04d25332601e4102718c45/t/5a85fbb70d92975679fa18db/1518730167290/Hate+Speech+on+Social+Media.pdf> [13/07/2019]

³⁵ Policy department for citizens' rights and constitutional affairs, Disinformation and propaganda – impact on the functioning of the rule of law in the EU and its member states, 2019, 143.

[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2019/608864/IPOL_STU\(2019\)608864_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2019/608864/IPOL_STU(2019)608864_EN.pdf) [13/07/2019]

რომ ყალბი ინფორმაციის რეგულირება ინტერნეტში წარმოადგენდა საკანონმდებლო დისკრეციის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც კანონმდებელმა უნდა დააბალანსოს გამოხატვისა და კომუნიკაციის თავისუფლებები.

კანონის ფარგლებში, აღმასრულებელ ორგანოები უფლებამოსილი არიან წაშალონ შინაარსი 48 საათის განმავლობაში, როგორც გადაუდებელი პროცედურა, თუმცა ამასთანავე აღნიშნული მოითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ინფორმაციის სანდოობის და ავტორის განზრახვის შესახებ, რომლის მიზანსაც უნდა წარმოადგენდეს დროის მოკლე პერიოდში საზოგადოებაზე მანიპულირების მოხდენა. თუმცა, ამასთანავე არსებობს რისკი, რომ ეს მექანიზმი სასამართლოს გადატვირთავს და აგრეთვე პრაქტიკაში დადგება დეზინფორმაციის არაერთგვაროვნად განმარტების პრობლემა.³⁶

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სოციალური მედიის დარეგულირების თვალსაზრისით აღსანიშნავია ევროკავშირის დირექტივები.

ევროკავშირის მიდგომის თანახმად, ონლაინ პლატფორმაზე რეგულირებისას ერთიანი მიდგომები არ არის გამართლებული სოციალური ქსელების შინაარსის მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე და ამიტომ თითოეულ შინაარსთან მიმართებით იყენებს განსხვავებულ მექანიზმებს. E-commerce დირექტივის პრინციპის თანახმად, პლატფორმებს არ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმ უკანონო შინაარსისთვის, რომლის შესახებაც მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია. აგრეთვე კომისია უპირატესობას ანიჭებს წაახალისოს თანარეგულირების და თვითრეგულირების მიდგომები, მაშინ როდესაც პლატფორმები ცდილობენ შეიმუშაონ ქცევის კოდექსი და ნებაყოფლობით ითანამშრომლონ მთავრობებთან ან სამოქალაქო საზოგადოებასთან.

ამასთანავე, გარკვეულ საკითხებზე ევროკავშირს აქვს მკაფიო მიდგომები და რეაგირების მკაცრი მექანიზმები. ევროკავშირმა 2008/913/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების თანახმად, სიძულვილის ენა მიიჩნია სისხლის სამართლებრივ დანაშაულად.³⁷ აღნიშნული გადაწყვეტილება შეეხება როგორც ონლაინ სივრცეში

³⁶ House of Commons , Disinformation and 'fake news': Final Report, 2019, 13.

<https://publications.parliament.uk/pa/cm201719/cmselect/cmcomeds/1791/1791.pdf> [13/07/2019]

³⁷ European Commission and IT Companies announce Code of Conduct on illegal online hate speech

http://europa.eu/rapid/press-release_IP-16-1937_en.htm [13/07/2019]

ისე რეალურ ცხოვრებაში გამოხატვას და აღგენს სამართალდამრღვევების დასჯის ვალდებულებას ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთანავე, E-commerce დირექტივის საფუძველზე შესაძლებელია ონლაინ პლატფორმისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, იმ შემთხვევაში თუ ის არ უზრუნველყოფს უკანონო შინაარსის წაშლას.³⁸ შედეგად, ევროპული კონსესუსის საფუძველზე, ონლაინ პლატფორმას განესაზღვრა შემდგომი ვალდებულებები: შეისწავლოს და მოახდინოს სიძულვილის ენის იდენტიფიცირება, დააკლასიფიციროს როგორც უკანონო შინაარსი და წაშალოს განსაზღვრულ დროში.

აგრეთვე, ევროკავშირის ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია აუდიოვიზუალური მედია სერვისების დირექტივა, რომელიც კრძალავს აუდიოვიზუალური საშუალებით გავრცელებულ სიძულვილის ენას. დირექტივა თანახმად, სოციალურ პლატფორმებს ეკისრებათ ვალდებულება შექმნან ქცევის წესები და მექანიზმები სიძულვილის ენის წინააღმდეგ და ჰქონდეთ მასთან ბრძოლისთვის ეფექტური მექანიზმები. ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა არ ვრცელდება იმ პლატფორმებზე, რომლებიც არ იყვნენ ინფორმირებული უკანონო შინაარსის გაზიარების შესახებ.

2.3. ბლოკირება, ფილტრაცია, შინაარსის წაშლა და ანგარიშის დეაქტივიზაცია

როგორც აღინიშნა ინტერნეტში და სოციალურ მედიაში თავსდება აურაცხელი ოდენობის ინფორმაცია. ბევრი მათგანი შინაარსობრივი თვალსაზრისით შესაძლოა არ შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. იყოს უხამსი, შეიცავდეს ძალადობის პროპაგანდას ან სხვა მხრივ არ შეესაბამებოდეს გამოხატვის კანონით დაცულ ფარგლებს. სწორედ ასეთ შემთხვევებისთვის არსებობს ინტერნეტში სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთი შინაარსზე მომხმარებელთა ხელმისაწვდომობას შეზღუდვას. ასეთ მექანიზმებს კი განეკუთვნება ბლოკირება, ფილტრაცია, შინაარსის წაშლა და ანგარიშის დეაქტივიზაცია.

³⁸ Directorate General for internal policies, Providers liability: from the ecommerce directive to the future, 2017, 16.

[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2017/614179/IPOL_IDA\(2017\)614179_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2017/614179/IPOL_IDA(2017)614179_EN.pdf)

[13/07/2019]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში გამოხატვა გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. ონლაინ სივრცეში ინფორმაცია სწრაფად და მასობრივად ვრცელდება, რის გამოც გამოხატვის შეზღუდვის ტრადიციული მექანიზმები ხშირ შემთხვევაში გამოუსადეგარია. ამ პლატფორმისთვის კი განისაზღვრა სპეციალური მექანიზმები, რომელიც ეფექტურია ინტერნეტში უკანონო გამოხატვის წინააღმდეგ ბრძოლისა და აღკვეთისთვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ თითოეული ღონისძიება უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევი, გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული საშუალება. გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია, შინაარსის წაშლა საკმარისი მექანიზმი იყოს აკრძალულ ინფორმაციასთან ბრძოლისთვის, ხოლო რიგ შემთხვევაში მომხმარებლის ანგარიშის დეაქტივიზაცია გახდეს საჭირო. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ თითოეული ღონისძიების მახასიათებლები, მათი მასშტაბები და გამოყენების მაგალითები.

ევროპის სახელმწიფოების უმრავლესობას მიღებული აქვს კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს ინტერნეტში სხვადასხვა ტიპის აკრძალული მასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებას, ხშირ შემთხვევაში ასეთი ქმედებები კრიმინალიზებულიც კი არის. თუმცა, ექსტრემიზმის რჩევა ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად, როდესაც საქმე ეხება ინტერნეტისათვის დადგენილ რეგულაციებს. შინაარსი ხშირად მიღებული ან მოწოდებულია იმ იურისდიქციის ფარგლებს გარედან, სადაც იგი კრიმინალიზებულია. ამავდროულად, რაც მიიჩნევა უკანონოდ ერთ ქვეყანაში შესაძლოა, ლეგალური იყოს სხვა ქვეყანაში. განსახვავებული წესები, კანონები და რეგულაციები დაფუძნებულია სხვადასხვა კულტურაზე, მორალზე, პოლიტიკაზე, კონსტიტუციასა და რელიგიურ ღირებულებებზე. ეს განსხვავებები განაგრძობენ დამოუკიდებლად არსებობას და უეჭველად ართულებენ შესაბამისი ბალანსის პოვნას გამოხატვის თავისუფლებასა და გარკვეული ტიპის აკრძალულ შინაარსად მიჩნევას კონკრეტული სახელმწიფო ორგანოების მიერ.³⁹

ამრიგად, სახელმწიფო კანონების შეზღუდული ეფექტურობიდან გამომდინარე, აგრეთვე საერთაშორისო დონეზე კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ნაკლებობიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა დაიწყეს ინდივიდუალურად

³⁹ Organization for security and Co-operation in Europe, Freedom of expression on the internet, 2010, 239. <https://www.osce.org/fom/105522?download=true> [13/07/2019]

გარკვეულ ვებ-საიტების და სოციალური მედიის პლატფორმებზე წვდომის დაბლოკვა, რომელიც სავარაუდოდ შეიცავს უკანონო შინაარსს და განთავსებულია მათი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. შინაარსის ბლოკირება არის სწრაფი, მარტივი და უფრო ხელსაყრელი მეთოდი იმ შემთხვევებში, როდესაც ხელისუფლება უუნაროა მოიკვლიოს დამნაშავე და აწარმოოს მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი ღონისძიებები, როდესაც სხვა ურთიერთდახმარების სისხლის სამართლებრივი საშუალებები არ არის ვარგისი დანაშაულის აღსაკვეთად ან არაეფექტურია.

თუმცა ამ ღონისძიებასაც ახლავს უარყოფითი მხარეები, ბლოკირების ღონისძიება ყოველთვის არ არის კანონით გათვალისწინებული და არ ექვემდებარება ჯეროვანი პროცესის პრინციპებს. ამასთანავე, ბლოკირების გადანყვეტილება არ არის აუცილებელი, რომ მიღებულ იქნას სასამართლოს მიერ კანონის საფუძველზე, და ხშირ შემთხვევაში ეს გადანყვეტილება მიიღება ადმინისტრაციული ორგანოების ან ინტერნეტ პროვაიდერების მიერ. შესაბამისად ეს ორგანოები წყვეტენ თუ რომელი შინაარსი, ვებ-გვერდი ან პლატფორმა უნდა იყოს დაბლოკილი ინტერნეტ-სივრცეში. ბლოკირების პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში პრობლემურია, იმდენად რამდენადაც დაცული არ არის გამჭვირვალობის და ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობის პრინციპები. ხოლო, გასაჩივრების პროცედურები ხშირ შემთხვევაში ან არ არსებობს ან არაეფექტურია. აქედან გამომდინარე არსებობს ბლოკირების ღონისძიების მეშვეობით გამოხატვის თავისუფლების დისპროპორციულად შეზღუდვის რისკები.⁴⁰

ბლოკირების მექანიზმი ძირითადად გამოიყენება შემდეგი შინაარსის მასალის საბრძოლველად: 1. რასისტული, ქსენოფობიური, სიძულვილის ენის შემცველი შინაარსი; 2. ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამართლება ან მოწოდება; 3. ტერორიზმისკენ მოწოდება; 4. ბავშვთა პორნოგრაფია; 6. ინტერნეტ მეკობრეობა; 7. შეურაცხყოფა, დეფამაცია, ცილისწამება; 8. ექსტრემისტულად აღქმული გამოხატვები.

⁴⁰ Organization for security and Co-operation in Europe, Freedom of expression on the internet, 2010, 241. <https://www.osce.org/fom/105522?download=true> [13/07/2019]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბლოკირების მექანიზმი გამოიყენება უფრო მასშტაბურ შემთხვევებში, როდესაც მთლიანი ვებ-გვერდი ან/და მისი დიდი ნაწილი, აბსოლუტური უმრავლესობა მოცულია უკანონო მასალით. ამ შემთხვევაში შინაარსის წაშლას შესაძლოა დასჭირდეს განუზომლად დიდი რესურსი ან წარმოადგენდეს უაზრო ძალისხმევას, თუ მთელ ვებ-გვერდზე მხოლოდ უკანონო მასალაა განთავსებული. ამასთან დაბლოკვა წარმოადგენს უფრო სწრაფ და ეფექტურ მექანიზმს დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ასეთი ინფორმაციის დაყოვნებამ სოციალურ სივრცეში შესაძლოა დამანგრეველი შედეგები გამოიწვიოს.

დაბლოკვის მსგავს მექანიზმს წარმოადგენს ანგარიშის დეაქტივიზაცია. თუ დაბლოკვა ხორციელდება ინტერნეტ პროვაიდერების მიერ და მიემართება კონკრეტულ ვებ-გვერდს ან თუნდაც ვებ-გვერდის გარკვეულ კატეგორიას, ანგარიშის დეაქტივიზაცია ხორციელდება სოციალური ქსელების მიერ და იგი მიემართება მათ მომხმარებლებს ან სოციალური მედიის გვერდს. აღნიშნულ შემთხვევაშიც ანგარიშის დეაქტივიზაცია გამოიყენება, თუ მომხმარებლის მთლიანი გვერდი, არათუ ერთი კონკრეტული პოსტი შეუსაბამოა სოციალური ქსელის საზოგადოებრივ სტანდარტებთან ან კანონებთან. ამავდროულად შეიძლება მომხმარებლის ერთი პოსტიც იმდენად მწვავე იყოს, რომ საჭირო გახდეს მთელი ანგარიშის დეაქტივიზაცია. აღნიშნული ღონისძიება განახორციელა თვითერმა 2016 წელს, როდესაც დაახლოებით 235 ათასი მომხმარებლის ანგარიშის დეაქტივიზაცია განახორციელა, რადგან მათი გვერდები დაკავშირებული იყო ტერორიზმთან, ისინი ქმნიდნენ და ავრცელებდნენ ტერორისტულ დანაშაულებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. რის გამოც აუცილებელი გახდა მსგავსი უკიდურესი ღონისძიებების გატარება.⁴¹

გამოხატვის თავისუფლების კონტროლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და შედარებით ნაკლებად ინტენსიურ მექანიზმს წარმოადგენს შინაარსის წაშლის შესაძლებლობა. სოციალურ პლატფორმის ტექნოლოგიური მახასიათებლებიდან გამომდინარე მომხმარებლებს შეუძლია მოითხოვოს შინაარსის წაშლა, რომელსაც იგი აღიქვამს

⁴¹ Twitter has deleted 235,000 terrorist-related user accounts in the past six months
<https://www.vox.com/2016/8/18/12539458/twitter-deletes-terrorism-accounts-isis> [13/07/2019]

მისთვის საზიანოდ, რაც სამომავლოდ დაიცავს სხვას ასეთი ინფორმაციის ნახვისგან.

განსახილველ შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს პოსტის ან ფოტოს დარეპორტება იმ მოტივით, რომ იგი ლახავს ფეისბუქის საზოგადოების სტანდარტებს, მაგალითად, ძალადობრივია ან შეურაცხყოფს მომხმარებლის გრძნობებს. ამის შემდგომ ფეისბუქი მომხმარებლის შეტყობინების საფუძველზე აფასებს შინაარსს და წყვეტს ნაშალოს თუ არა იგი.⁴² შინაარსის ნაშლა ეფექტურია იმ შემთხვევაში თუ სოციალურ მედიაში გავრცელდა ერთი ან მცირე რაოდენობით ფოტო, ვიდეო, ან სხვა სახის აქტივობა, რომელიც არ შეესაბამება გამოხატვის სტანდარტებს. შინაარსის ნაშლა იშვიათად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ვრცელდება დიდი ოდენობით უკანონო მასალა, მაგალითად მედია საშუალებების გვერდზე მთლიანად მოთავსებულია ბავშვთა პორნოგრაფია ან ვებ-გვერდის მთელი შინაარსი ეძღვნება ძალადობის, ტერორიზმის მონოღებას. ამ შემთხვევებში, ბუნებრივია თითოეული თაილის ანალიზი, მისი შინაარსის შესწავლა და სათითაოდ ნაშლა ნაკლებად ეფექტური მექანიზმია.

შინაარსები მათი რისკების გათვალისწინებით ადგენენ 3 ქვე-კატეგორიას: 1. უკანონო შინაარსი; 2. ასაკობრივად შეუფერებელი ან საზიანო შინაარსი და 3. საზიანო რჩევები. პოტენციური ნეგატიური შედეგები მერყეობს მათი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით და აგრეთვე მომხმარებლის თავისებურების გათვალისწინებით. ამრიგად, მეორე ქვე-კატეგორიის ინფორმაცია შესაძლოა საზიანო იყოს არა ზოგადად ყველასთვის, არამედ არასრულწლოვანებისთვის ან სხვა სახის მონყვლად, სენსიტიურ პირთა კატეგორიისთვის. ამისათვის სახელმწიფოებს აქვს სხვადასხვა მიდგომები, რათა დაიცვან ბავშვები ინტერნეტიდან მომდინარე შესაძლო მავნე ზეგავლენისგან. ასეთ ღონისძიებებში კი მოიაზრება თვით და თანარეგულირების სისტემები, ცნობიერების ამაღლება, ტექნიკური მხარდაჭერა და ბავშვისთვის უსაფრთხო ინტერნეტ ზონის შექმნა.⁴³

ფილტრაციის სისტემა ითვალისწინებს ბავშვებისთვის ინტერნეტ-სივრცეში ისეთი არასასურველი კონტენტის გაფილტვრას და მათთვის შეზღუდვას როგორცაა

⁴² Corinne Tan, Regulating content on social media, 2018, 144.

<http://discovery.ucl.ac.uk/10045814/1/Regulating-Content-on-Social-Media.pdf> [13/07/2019]

⁴³ Organization for security and Co-operation in Europe, Freedom of expression on the internet, 2010, 241.

<https://www.osce.org/fom/105522?download=true> [13/07/2019]

პორნოგრაფია, უხამსობა, ძალადობრივი სიუჟეტები და ა.შ. ფილტრაცია იმით განსხვავდება ბლოკირებისგან, რომ ბლოკირების შემთხვევაში შინაარსი ხელმიუწვდომელია ყველასგან, ვრცელდება ყველა მომხმარებელზე, ხოლო ფილტრაცია კი გულისხმობს კონკრეტულ, ფოკუს ჯგუფზე გათვლილ შეზღუდვებს ან ინდივიდუალურად მომხმარებლის ინტერნეტ სივრცეზე დაყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას. ფილტრაცია ძირითადად ყენდება სკოლებსა და ბიბლიოთეკებში, აგრეთვე მშობელს შეუძლია დააყენოს მსგავსი სისტემა და გააქტიუროს მაშინ, როდესაც კომპიუტერს მოიხმარს არასრულწლოვანი. ამრიგად, ფილტრაცია უზრუნველყოფს, კონკრეტული მონაცვლადი ჯგუფისთვის გარკვეული რისკის შემცველი ინფორმაციისგან წვდომის შეზღუდვის ნაკლებად მზლუდავ მექანიზმს. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ ფილტრაცია მისი ბუნებიდან გამომდინარე მაინც წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, აქედან გამომდინარე, ფილტრირებული ინფორმაცია არ უნდა იყოს ზედმეტად ვრცელი. ასეთი ინფორმაცია უნდა იყოს მხოლოდ ფილტრირებული და არა ბლოკირებული, ვინაიდან არ შეიძლება უფროსებს შეეზღუდოს იმაზე წვდომა, რაზეც შეზღუდვა მხოლოდ არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ.⁴⁴

ფილტრაციის ტექნოლოგიები, აგრეთვე, აქტიურად გამოიყენება იუთუბ სივრცეში უკანონო შინაარსის იდენტიფიცირებისთვის, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმია ვიდეოს გავრცელების ან მისი შემდგომი ნახვის შეზღუდვის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პროგრამა ავტომატურად ასკანერებს პლატფორმაზე არსებულ ყველა ვიდეო კლიპს, რომელიც შესაძლოა, დადებულ იქნას უკანონოდ, მაგალითად საავტორო უფლებების დარღვევის საფუძველზე. ამის შემდგომ თუ აღმოჩნდა, რომ ესა თუ ის ვიდეო გამოყენებული იყო საავტორო უფლებების დაცვის გარეშე, იუთუბს შეუძლია გამოურთოს ვიდეოს მუსიკა, დაბლოკოს შინაარსი შემდგომი წვდომისგან ან გაატაროს სხვა დამატებითი ღონისძიება.⁴⁵ ფეისბუქზე ფილტრაციის ნათელი მაგალითია დასახიჩრების ან ძალადობის კადრების გავრცელების თავისებურებები. ასეთი მასალა დაფარულია და აქვს გამაფრთხილებელი წარწერა, რომ, მაგალითად, შეიცავს სხეულის დაზიანების კადრებს,

⁴⁴ Organization for security and Co-operation in Europe, Freedom of expression on the internet, 2010, 258. <https://www.osce.org/fom/105522?download=true> [13/07/2019]

⁴⁵ Corinne Tan, Regulating content on social media, 2018, 146. <http://discovery.ucl.ac.uk/10045814/1/Regulating-Content-on-Social-Media.pdf> [13/07/2019]

მომხმარებელს კი სურვილის შემთხვევაში შეუძლია ნახოს ან არ ნახოს შინაარსი. ამგვარი ფილტრაცია მიზნად ისახავს იმას, რომ მომხმარებელი სოციალურ მედიაზე მოულოდნელად არ გადააწყდეს ისეთ კადრებს, რომელმაც შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს მის ფსიქიკასა და განწყობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბლოკირების, ანგარიშის წაშლის, ფილტრაციის სისტემები წარმოადგენენ იმ საშუალებებს, რომელიც განკუთვნილია ინტერნეტ სივრცეში შინაარსის რეგულირებისკენ და რომლის მიზანია სოციალურ მედიაში აზრის ჯანსაღი გამოხატვის უზრუნველყოფა.

3. სოციალურ მედიაში გამოხატვის თავისებურებები

3.1. პოლიტიკური ფიგურის ღია ანგარიშის პლატფორმაზე გამოხატვის ფარგლები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალური მედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა პოლიტიკური აზრის გავრცელება. სოციალურ ქსელებში პოლიტიკურ მოსაზრებებს გამოთქვავენ როგორც რიგითი მომხმარებლები, აგრეთვე პოლიტიკოსებიც. სოციალური მედიასაშუალებით მიმართვა თვალსაჩინო მაგალითია თუ როგორ იყენებენ პოლიტიკური პარტიები ინტერნეტს რათა შექმნან მათი არხი, მიანოდონ ხმა ამომრჩევლამდე და წვლილი შეიტანონ პოლიტიკური ცოდნის გაღრმავებაში.⁴⁶ სოციალური მედიას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საარჩევნო კამპანიის პროცესში. ინტერნეტი, ტრადიციული მედია საშუალებებისგან განსხვავებით, უზრუნველყოფს ამომრჩევლებისათვის ინფორმაციის მიწოდების ახალ წყაროებსა და არხებს, ციფრული კომუნიკაციების მხარდაჭერა კი იძლევა პირდაპირი კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობას პოლიტიკური პარტიის ლიდერებსა და საზოგადოებას შორის. 2008 წელს აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატის ბარაკ ობამას საარჩევნო კამპანიამ აჩვენა, რომ სოციალურ მედიას აქვს მზარდი როლი კანდიდატის ამომრჩეველთან კომუნიკაციის თვალსაზრისით.⁴⁷

⁴⁶ Andrea Calderaro, Social media and politics, 2018, 783.

https://www.researchgate.net/publication/322273564_Social_Media_and_Politics [13/07/2019]

⁴⁷ იქვე, 790.

დღესდღეობით პოლიტიკური ფიგურები აქტიურად იყენებენ ფეიბუქის თუ თვითერის გვერდებს, მათი პოლიტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით, მათ ყავთ ათასობით გამომწერები, ხოლო პოსტები კი უმოკლეს ვადებში ვრცელდება მომხმარებლებზე. თუმცა ბუნებრივია ამ ტიპის ურთიერთობებში წარმოიშვება სხვადასხვა პრობლემები. პოლიტიკოსების მიერ გამოქვეყნებულ პოსტებზე მომხმარებლებს აქვთ კომენტარის დანერის შესაძლებლობა, რაც იძლევა პოლიტიკოსთან პირდაპირი ინტერაქციის შესაძლებლობას. თუმცა, აღნიშული კომენტარები ხშირ შემთხვევაში შესაძლოა არც თუ ისე სასიამოვნო იყოს პოსტის ავტორისთვის, დისკომფორტს უქმნიდეს მას ან მწვავედ აკრიტიკებდეს მის პოზიციას, რის გამოც ანგარიშის მფლობელმა შესაძლოა დაბლოკოს და შეუზღუდოს კომენტარის გაკეთება ასეთ მომხმარებლებს. გასათვალისწინებელია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხება პოლიტიკოსის გვერდს, საიდანაც იგი მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას, ამდენად ანგარიშის მფლობელის ეს უფლებამოსილება შესაძლოა, არ გავრცელდეს პოლიტიკური ფიგურის მიმართ.

აშშ-ს ნიუ-იორკის სამხრეთული ოლქის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე Knight First Amendment Inst. at Columbia Univ. v. Trump⁴⁸. საქმის თანახმად, აშშ-ს პრეზიდენტმა ტრამპმა მოსარჩელები დაბლოკა მისი პირადი სოციალური მედიის ანგარიშიდან. მათი აზრით, პრეზიდენტის გვერდზე არსებული გამოხატვა დაცული იყო პირველი შესწორებით, ვინაიდან სოციალური მედია, როგორც ინტერაქტიული სივრცე, ხასიათდება საჯარო ფორუმად და კრიტიკული მოსაზრებების საფუძველზე მათ გამორიცხვას კრძალავდა აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება.

აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სარგებლობს თვითერის სოციალური მედიით, სადაც აქვს პირადი ანგარიში და გამოხატავს თავის პოლიტიკურ შეხედულებებს. რამოდენიმე მომხმარებელმა მის პოსტზე დანერეს კრიტიკული მოსაზრება კომენტარის სახით, რასაც მოჰყვა ტრამპის მიერ მათი დაბლოკვა მის პირად ანგარიშზე. ბლოკირების შედეგად მათ აღარ შეეძლოთ პრეზიდენტის ანგარიშის ან პოსტების, აგრეთვე, კომენტარების ნახვა და მათზე პასუხის გაცემა.

სასამართლომ განიხილა პრეზიდენტის თვითერის ანგარიში რამდენად მიიჩნეოდა ფორუმად აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების მიზნებისთვის და ინდივიდების ბლოკირება ანგარიშზე არღვევდა თუ არა კონსტიტუციით დაცულ

⁴⁸ Knight First Amendment Inst. at Columbia Univ. v. Trump, 302 F. Supp. 3d 541, 2018 U.S. Dist.

გამოხატვას. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო პოლიტიკური ფიგურის პოსტზე დაკომენტარება წარმოადგენდა პოლიტიკურ გამოხატვას და ექცეოდა პირველი შესწორებით დაცულ უფლებაში.

ამის შემდგომ სასამართლომ განიხილა გამოხატვის ფორუმის არსი. გამოხატვის ფორუმი წარმოადგენს ადგილს, სადაც როგორც წესი ხდებოდა პოლიტიკური ფიგურების მიერ მოქალაქეებისთვის მიმართვა. ასეთი გამოხატვის ტრადიციულ ფორუმი კი არის ქუჩები, პარკები და მსგავსი ადგილები, სადაც პოლიტიკოსები ხვდებოდნენ ამომრჩევლებს. სასამართლომ დაადგინა, რომ ფორუმად მიჩნევისთვის პლატფორმა უნდა იყოს მთავრობის მფლობელობაში ან კონტროლში. განსახილველ შემთხვევაში ანგარიში ეკუთვნოდა აშშ-ს პრეზიდენტს, ხოლო პოსტები წარმოადგენდა პრეზიდენტის მოსაზრებებს, აქედან გამომდინარე საქმე გვექონდა საჯარო ფორუმთან. სასამართლომ არ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ არსებული აქტივობა განეკუთვნებოდა არა სახელმწიფოს მოქმედებას, არამედ წარმოადგენდა რიგითი თვითერის მომხმარებლის შესაძლებლობას დაებლოკა არასასურველი მომხმარებელი. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მომხმარებლის დაბლოკვა ცდებოდა მომხმარებლის პირად უფლებამოსილებასა და სურვილებს და თავისი არსით წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებას. აგრეთვე სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოებაც, რომ ანგარიში შექმნილი იყო ტრამპის პრეზიდენტად არჩევამდე, ვინაიდან ეს გვერდი ღღეს მას ემსახურებოდა როგორც საჯარო პირს.

შემდგომ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ფორუმის მიზნებზე, სტრუქტურასა და ამოცანებზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს პლატფორმა იყო ინტერაქტიული სივრცე, ვინაიდან შესაძლებელი იყო პოსტებზე პასუხები და გამოხმაურება. შესაბამისად, ამ მოცემულობიდან გამომდინარე იგი მიეკუთვნა „განსაზღვრულ საჯარო ფორუმს“ (დახურული ფორუმი, რომელიც შესაძლოა ხელისუფლებამ გახსნას საჯარო დისკუსიის გამართვისთვის), რადგან ნებისმიერ პირს შეეძლო ფორუმში ჩართვა და ინტერაქცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ პირს დაბლოკვისას ეზღუდება ყველანაირი წვდომა პოლიტიკური ფიგურის ანგარიშზე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ პრეზიდენტის მიერ მომხმარებლების დაბლოკვა პირად ანგარიშზე ეწინააღმდეგებოდა აშშ-ს პირველ შესწორებას,

ვინაიდან იგი ზღუდავდა პოლიტიკურ გამოხატვას განსაზღვრულ საჯარო ფორუმში.

ზემოაღნიშნული საქმის ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როდესაც საჯარო პირი სოციალური ქსელის ანგარიშს იყენებს ამომრჩეველთან კომუნიკაციის მიზნით, გამოხატავს საკუთარ პოლიტიკურ მოსაზრებებს და ახორციელებს სხვა საჯარო აქტივობებს, იგი არ წარმოადგეს რიგით სოციალური ქსელის მომხმარებელს, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებები აქვს თავის ანგარიშზე. მოცემულ შემთხვევაში, პრეზიდენტი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, შებოჭილია ხალხთან ანგარიშვალდებულებით, და ამ ტვირთიდან გამომდინარე, ვალდებულია ყველა ადამიანს თანაბრად მისცეს პოლიტიკურ დისკუსიაში ჩართვის შანსი, თუნდაც მისი მოსაზრების წინააღმდეგ გამოითქვას მწვავე კრიტიკა და არასასურველი კონტრარგუმენტები.

3.2. სოციალური მედიის პასუხისმგებლობა მესამე პირის მიერ გავრცელებული ინფორმაციისათვის

გამოხატვის თავისუფლება, როგორც უკვე აღინიშნა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად კონკურირებადი უფლებაა სხვა ძირითად უფლებებთან მიმართებით. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ რეალიზებისას რომელ ძირითად უფლებას უპირისპირდება იგი.

საქმეში *Delfi AS v. Estonia*⁴⁹ ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ინტერნეტ სივრცეში მომხმარებელთა გამომხატველობითი საქმიანობა გამოხატვის თავისუფლების განხორციელების უპრეცედენტო პლატფორმას ქმნის. ინტერნეტ სივრცეში მომხმარებელთა გამოხატვის თავისუფლება, სარგებელთან ერთად, გარკვეულწილად, მომეტებული რისკების შემცველია. მაგალითად, ცილისმწამებლური და სხვა აშკარად უკანონო გამონათქვამები, მათ შორის, სიძულვილისა და ძალადობის წამახალისებელი ენა. ყოველივე აღნიშნულის გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა, ინფორმაცია ვრცელდება მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებული სისწრაფით და, ხშირად, ხანგრძლივი დროითაა ხელმისაწვდომი. სპეციფიკური მახასიათებელი ნიშნები, რაც ინტერნეტში

⁴⁹ European Court of Human Rights, [GC], *Delfi AS v. Estonia*, 64569/09, 16/06/2015.

გამოხატვის თავისუფლებას ახასიათებს, განსაკუთრებით გამოკვეთს გამოხატვის თავისუფლების კონკურირებად ხასიათს. შესაბამისად, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ღირებულებების დაცვა, მეორე მხრივ, ევროპული კონვენციის მე-10 და მე-8 მუხლებით გარანტირებულ უფლებებს შორის ბალანსის დაცვა ისე, რომ შენარჩუნდეს ორივე უფლების ძირითადი არსი.

ევროპულმა სასამართლომ, ინტერნეტის განსაკუთრებული ბუნების გათვალისწინებით, ინტერნეტ სივრცეში ფუნქციონირებადი საინფორმაციო პორტალის უფლება-მოვალეობები, მესამე მხარის შინაარსთან დაკავშირებით, განსხვავებულად მიიჩნია ტრადიციული გამომცემლის უფლება-მოვალეობებისაგან. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე შეეხებოდა ინტერნეტ სივრცეში მომუშავე საინფორმაციო პორტალების „უფლებებსა და მოვალეობებს“ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, როდესაც ისინი კომერციული მიზნებისათვის ქმნიან პლატფორმას მანამდე არა მხოლოდ გამოქვეყნებულ შინაარსზე, არამედ მასზე (გამოქვეყნებულ შინაარსზე) მომხმარებელთა კომენტარების განსათავსებლად, ხოლო ზოგიერთი მომხმარებლის, მათ შორის, ანონიმური მომხმარებლის აშკარად უკანონო კომენტარები არღვევს სხვათა პიროვნულ უფლებებს და წარმოადგენს მათ წინააღმდეგ სიძულვილის ენას და ძალადობის ნაქმრებს. სასამართლომ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმე უკავშირდება ინტერნეტ სივრცეში მომუშავე მსხვილ კომერციულ საინფორმაციო პორტალს, რომელიც იმართება პროფესიონალთა მიერ, აქვეყნებს საკუთარ საინფორმაციო სტატიებს და მკითხველებს ამ სტატიებზე კომენტარის განთავსების შესაძლებლობას სთავაზობს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის შეფასებისას, ევროპულმა სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გაამახვილა პრესის მნიშვნელოვან ფუნქციებზე (Public watchdog) დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პრესა ვალდებულია, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად დაემორჩილოს გარკვეულ საზღვრებს, მის მოვალეობად რჩება საზოგადოებრივი ინტერესების საკითხების შესახებ ინფორმაციისა და იდეების გავრცელება, პრესის უფლება-მოვალეობების ფარგლებში.

ევროპულმა სასამართლომ, საკითხის გადაწყვეტისას, ერთი მხრივ, შეათვალა საზოგადოების ინტერესი, მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია, მედია საშუალების, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის ფუნქცია, მედია საშუალებების უფლებამოსიანების გათვალისწინებით, მედიასაშუალების პოტენციური გავლენა ინფორმაციის გავრცელებაზე, მეორე მხრივ, განმარტა, რომ ევროპული კონვენციის მე-17 მუხლის საფუძველზე, მე-10 მუხლი არ იცავს კონვენციის მიერ გაცხადებული და გარანტირებული ფასეულობების შეუსაბამო გამონათქვამებს. სასამართლოს მიერ წარსულში განხილული ასეთი გამონათქვამების მაგალითებია ჰოლოკოსტის უარყოფელი განცხადებები, პრონაცისტური პოლიტიკის გამამართლებელი განცხადებები, რომელიც ყველა მუსლიმანს მძიმე ტერორისტულ აქტებს უკავშირებს ან ებრაელებს რუსეთში სიბოროტის წყაროდ მოიხსენიებს.

საყურადღებოა, რომ წინამდებარე საქმეში განხილვის საგანს წარმოადგენდა ინტერნეტ პორტალის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, კერძოდ პასუხისმგებლობა, ინტერნეტ პორტალის სტატიაზე მესამე პირების მიერ განთავსებულ შინაარსზე, სხვათა რეპუტაციის შელახვის ჭრილში, და არა თავად მესამე პირების გამოხატვის თავისუფლება.

სასამართლომ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ „დელფის“ საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნებული სტატია გადამზიდავი კომპანიების შესახებ იყო დაბალანსებული, არ შეიცავდა შეურაცხმყოფელ ელემენტებს, თავისი შინაარსით სტატია ნეიტრალური იყო. ამავდროულად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ინტერნეტ სივრცეში მწვავე დისკუსიები შესაძლოა გამოიწვიოს ამგვარმა დაბალანსებულმა სტატიამაც კი, რომელიც ერთი შეხედვით ნეიტრალურ თემაზე დაიწერა. აღნიშნულ კონტექსტში სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა „დელფის“ საინფორმაციო პორტალის თავისებურებებზე, კერძოდ ის, რომ იგი ინტერნეტ სივრცეში პროფესიონალური თვალსაზრისით, ადმინისტრირებას უწევდა კომერციულ საინფორმაციო პორტალს, რომელიც პორტალზე გამოქვეყნებულ სტატიებზე მრავლობითი კომენტარების მოზიდვას ისახავდა მიზნად.

უზენაესმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა კომპანიამ თავის საინფორმაციო პორტალში მოახდინა კომენტარების ველის ინტეგრირება და ვებგვერდის ვიზიტორებს სთავაზობდა თავიანთი დასკვნებისა და

მოსაზრებების (კომენტარების) გამოხატვას პორტალზე გამოქვეყნებულ ახალ ამბებთან დაკავშირებით. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კომენტარებისათვის განკუთვნილ სივრცეში მომჩივანი მომხმარებლებს აქტიურად მოუწოდებდა, განეთავსებინათ კომენტარი პორტალზე გამოქვეყნებულ საინფორმაციო სტატიებთან დაკავშირებით, ხოლო პორტალზე განთავსებული რეკლამებიდან მიღებული შემოსავალი ვიზიტორთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს დასკვნის თანახმად, მომჩივან კომპანიას კომენტარების გამოქვეყნებაში კომერციული ინტერესი ჰქონდა. უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ მომჩივანი კომპანია კომენტარების ავტორი არ იყო, არ ნიშნავდა იმას, რომ კომპანიას კომენტარებისათვის განკუთვნილი სივრცის გაკონტროლება არ შეეძლო. ამასთან, ამავე კომპანიის მიერ საკუთარ პორტალზე გამოქვეყნებული წესების შესაბამისად, მომხმარებელს უშინაარსო, უკანონო, კარგი პრაქტიკის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელი, მექარის შემცველი, ვულგარული და სხვა მსგავსი შინაარის მქონე მოსაზრების განთავსება ეკრძალებოდა. საბოლოოს ჯამში აღნიშნული თვალსაზრისით ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ესტონეთის უზენაესი სასამართლოს პოზიცია.

ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, საინფორმაციო პორტალის ნაცვლად კომენტარების ავტორთა პასუხისმგებლობის დაკისრების ალტერნატიული შესაძლებლობა და აღნიშნა, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა ინტერესში შედის ვინაობის დამალვა. ანონიმურობა რეპრესალიებისა და არასასურველი ყურადღების თავიდან აცილების საშუალებაა და როგორც ასეთი, იგი იღვებისა და ინფორმაციის თავისუფალ მოძრაობას უწყობს ხელს, განსაკუთრებით ინტერნეტ სივრცეში. ამავდროულად, გაითვალისწინა ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის გავრცელების სიმარტივე, მასშტაბები და სიჩქარე და ის ფაქტი, რომ ერთხელ გამჟღავნებული ინფორმაცია მუდმივად იარსებებს ინტერნეტ სივრცეში, რის გამოც ტრადიციული მედია საშუალებებისაგან განსხვავებით, ინტერნეტ სივრცეში უკანონო გამონათქვამების გამოქვეყნებამ შესაძლოა უფრო მძიმე შედეგები გამოიწვიოს. ამასთანავე მიიჩნია, რომ ინტერნეტ მომხმარებელი შესაძლოა ანონიმურად დარჩეს ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ მისი იდენტიფიცირება მომსახურების მიმწოდებელმა შეძლოს პირადი ანგარიშის ან საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც ექვემდებარება ან არ ექვემდებარება გადამონმებას - პირადი ანგარიშის ელ-ფოსტის ან სოციალური ქსელის

საშუალებით აქტივაცია ან ავტორიზაციას სახელმწიფო ელექტრონული ბარათისა თუ ინტერნეტ ბანკის საიდენტიფიკაციო მონაცემების საშუალებით, რაც მომხმარებელთა უფრო უსაფრთხო ავტორიზაციის საშუალებას იძლევა. სასამართლომ, აღნიშნულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პროცედურების მეშვეობით პირის იდენტიფიცირება, ხშირად, გაუმართლებლად მიიჩნია, გარდა დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევისა. რაც შეეხება კომენტარების ავტორთა ვინაობის დადგენას სამოქალაქო პროცედურების შესაბამისად, სასამართლომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი რეალურობა, მხარეთა არგუმენტაციიდან გამომდინარე და განსხვავებულ მიზანთან ახლო, დაშორებული და, ზოგჯერ პირის იდენტიფიცირების შეუძლებელი შემთხვევები განიხილა. საბოლოოდ კი გაიზიარა ესტონეთის უზენაესი სასამართლოს პოზიცია და აღნიშნა, რომ დაზარალებულ პირს უფლება აქვს თავად აირჩიოს, ვის წინააღმდეგ შეიტანოს საჩივარი კომპანიის თუ კომენტარების ავტორების წინააღმდეგ. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ კომენტარების ავტორთა ვინაობის გასამუდავებელი ღონისძიებების არასაიმედო ეფექტურობა, აგრეთვე, ინტერნეტ პორტალზე მომხმარებელთა ვინაობის დასადგენი იმ მექანიზმების არარსებობა, რომელიც სიძულვილის ენის სავარაუდო დაზარალებულს კომენტარების ავტორების წინააღმდეგ საჩივრის აღძვრის შესაძლებლობას მისცემდა, ამყარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება შესაბამის და საკმარის საფუძველს ეყრდნობოდა. სასამართლომ აღნიშნულ კონტექსტში მიუთითა ერთ-ერთ საქმეზე, რომლის თანახმადაც გაითვალისწინა ცილისწამებით მიყენებული ზიანის შესაძლო კომპენსაციის ტვირთის მედია კომპანიაზე დაკისრება, რომელიც, როგორც წესი, ცილისწამებულ პირზე უკეთეს ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც ასეთი, მედია კომპანიის გამოხატვის თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევას არ წარმოადგენს.

ევროპულმა სასამართლომ დამატებით გაამახვილა ყურადღება გადაწყვეტილების შედეგზე განმცხადებელი კომპანიისათვის და აღნიშნა, რომ მომჩივან კომპანიას შიდა სამართალწარმოების შედეგად ბიზნესის მოდელის შეცვლა არ დასჭირვებია. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საინფორმაციო პორტალი კვლავ ესტონეთის ერთ-ერთ წამყვან ინტერნეტ გამოცემად რჩება და თუ იმსჯელებდნენ მომხმარებელთა კომენტარების რაოდენობით, რომელთა რიცხვიც სულ უფრო და უფრო იზრდება, იგი ყველაზე პოპულარული ინტერნეტ პორტალია. პორტალზე კომენტარების განთავსების შესაძლებლობა როგორც ანონიმურ, ისე

რეგისტრირებულ მომხმარებლებს აქვთ. კვლავ არსებობს ანონიმური კომენტარები, რომელთაც მკითხველი პირველ რიგში ხედავს, ხოლო მომჩივანმა კომპანიამ შექმნა მოდერატორების ჯგუფი, პორტალზე განთავსებული კომენტარების შემდგომი მოდერაციის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არც ამ მხრივ ყოფილა არაპროპორციული.

შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილი არ ჰქონია განმცხადებლისათვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას.

4. სოციალურ მედიაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თვარგლები და საფუძვლები

4.1. ინტერნეტში გამოხატვის შეზღუდვის ზოგადი მახასიათლებლები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტერნეტში გამოხატვის რეგულირებასთან მიმართებით არსებობს განსხვავებული მიდგომები. მოცემულ პარაგრაფში განხილული იქნება საერთაშორისო აქტებითა და საზღვარგარეთის სახელმწიფოთა მიერ დადგენილი ის ძირითადი შინაარსები, რომელთა გავრცელებაც იკრძალება სოციალური მედიის სფეროში.

საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულია, რომ, ზოგადად, გამოხატვის თავისუფლების სფეროში ის უფლებები, რომელიც ხალხს აქვს რეალურ სივრცეში, ასევე უნდა ჰქონდეთ ონლაინ სივრცეშიც. ნებისმიერი შეზღუდვა ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე ან გამოხატვის გავრცელებაზე ინტერნეტის მეშვეობით გამართლებული უნდა იყოს იმავე კრიტერიუმებით, რაც დადგენილია არაელექტრონული ან კავშირის მიღმა კომუნიკაციებზე. საერთაშორისო სტანდარტები ასევე ადგენს, რომ რეგულირების მიდგომები ტელეკომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორში არ შეიძლება უბრალოდ გადაღებულ იქნას ინტერნეტში, არამედ სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს მასმედიას, მხედველობაში უნდა იღებდეს იმ მსგავსებებსა და განსხვავებებს, რომლებიც არსებობს ბეჭდურ და სამაუწყებლო მედიასა და ინტერნეტს შორის.⁵⁰

⁵⁰ Article 19, Self-regulation and “hate speech” on social media platforms, 2018, 18.

როგორც წესი, განსხვავება უკანონო და საზიანო შინაარსებს შორის არის ის, რომ პირველი კრიმინალიზებულია სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობებით, ხოლო „საზიანო“ შინაარსს მიეკუთვნება შეურაცხმყოფელი, არასასურველი, არასასიამოვნო გამოხატვა. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში საზიანო და შეურაცხმყოფელი შინაარსი, ხშირად, არ ექცევა უკანონო გამოხატვის ფარგლებში⁵¹.

მაგალითად, ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი მასალის გავრცელება სახელმწიფოთა უმეტესობაში სისხლისსამართლებრივად ისჯება. მაშინ, როდესაც ნაწარმოები, რომელიც შეიცავს აშკარად გამოხატულ სექსუალურ ქცევებსა და თვალსაჩინო ძალადობრივ სცენებს, ნარკოტიკების მოხმარების, ბომბის კეთების ინსტრუქციას, შესაძლოა, არ იყოს სისხლისსამართლებრივად დასჯადი, არამედ იყოს უბრალოდ „საზიანო“. გარდა ამისა, ფანატიკური ან/და ექსტრემისტული პოლიტიკური და რელიგიური ხედვებიც, შესაძლოა, ზოგიერთ ქვეყანაში არ იყოს კრიმინალიზებული, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი გამოხატვა „უკანონობის ზღვართან“ ძალზე ახლოს დგას. საზიანო გამოხატვაზე, როგორც წესი, არასრულწლოვან პირებს ეზღუდებათ ასეთ შინაარსზე წვდომის შესაძლებლობა, თუმცა პრობლემატურია მისი აღსრულების რეალური პროგრამული ბერკეტების ნაკლებობა.

ჯერ კიდევ 1996 წელს ევროპულმა კომისიამ ერთმანეთისგან გამიჯნა უკანონო და „საზიანო“ გამოხატვა: „ამგვარი სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ ისინი წარმოადგენენ პრინციპულად სხვადასხვა კატეგორიის შინაარსებს, შესაბამისად საჭიროებენ განსხვავებულ სამართლებრივ რეაგირებას. სახიფათო იქნება თუ გავაერთიანებთ ისეთ განსხვავებულ საკითხებს, როგორცაა, ერთი მხრივ, ბავშვების წვდომა მოზარდების პორნოგრაფიაზე და, მეორე მხრივ, მოზარდების წვდომა ბავშვთა პორნოგრაფიაზე“⁵².

https://www.article19.org/wp-content/uploads/2018/03/Self-regulation-and-%E2%80%98hate-speech%E2%80%99-on-social-media-platforms_March2018.pdf [13/07/2019]

⁵¹ Commission of the European communities, Illegal and harmful content on the internet, 1996, 10.

<http://aei.pitt.edu/5895/1/5895.pdf> [13/07/2019]

⁵² Commission of the European communities, Illegal and harmful content on the internet, 1996, 11.

<http://aei.pitt.edu/5895/1/5895.pdf> [13/07/2019]

საქმეზე Editorial Board of Pravoye Delo and Shtekel v. Ukraine ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ინტერნეტი წარმოადგენს მძლავრ კომუნიკაციის იარაღს. მისი მეშვეობით ინფორმაციის შენახვა და გადაცემა მასშტაბების გათვალისწინებით უნდა განვასხვავოთ ბეჭდური პრესისაგან. ინტერნეტს იყენებს მილიარდობით ადამიანი მსოფლიოს მასშტაბით. ინტერნეტის მიმართ დაწესებული რეგულაციები და კონტროლის მექანიზმები უნდა იყოს განსხვავებული და უფრო მკაცრი, ვინაიდან ბეჭდური პრესისაგან განსხვავებით ინტერნეტში გამოხატვით ადამიანის უფლებებისთვის ზიანის მიყენების რისკი უფრო მაღალია.⁵³

როგორც აღინიშნა, გამოხატვის თავისუფლების ჭრილში განასხვავებენ რამოდენიმე ტიპის უკანონო ინტერნეტ შინაარსს, მისგან მომდინარე ზიანის გათვალისწინებით. თუმცა, ერთი და იმავე ტიპის ინტერნეტ შინაარსის მიმართ სახელმწიფოებს შესაძლოა, ჰქონდეთ სხვადასხვა მიდგომები. მაგალითად, შინაარსი, რომელიც შეიცავს სიძულვილის გამოხატვას ან/და რასისტულ მოსაზრებებს, ასევე შინაარსი, რომელიც შეიცავს ტერორიზმის პროპაგანდას, განსხვავებულად რეგულირდება სხვადასხვა სახელმწიფოში. ეს გამონეუელია იმით, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ უწყინარი იდეების გამოხატვას, არამედ ისეთ იდეებსა და აზრებსაც, რომლებიც შეურაცხყოფელი, შოკისმომგვრელი და საზიანოა. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნა, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ არ იარსებებს⁵⁴. მაშასადამე, „ზიანი“ და მისი მასშტაბი არის ის კრიტერიუმი, რითაც ხელმძღვანელობენ სახელმწიფოები ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებისათვის საზღვრების დაწესებისას, თუმცა, ვინაიდან ეს კრიტერიუმი ცვალებადია სახელმწიფოების მიხედვით, რთულია საერთაშორისო დონეზე ამ სფეროში ჰარმონიზებული კანონმდებლობის შემუშავება.

როგორი განსხვავებულებაც არ უნდა იყოს გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, სხვადასხვა სახელმწიფოში, გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი შებლუდვა, ყოველთვის მკაცრი, სამსაფეხუროვანი ტესტით ფასდება და დასაბუთებულ გამართლებას მოითხოვს. ადამიანის უფლებათა ევროპული

⁵³ European Court of Human Rights, Editorial Board of Pravoye Delo and Shtekel v. Ukraine, 33014/05, 05/05/2011, 63.

⁵⁴ European Court of Human Rights, Eon v. France, 26118/10, 14/03/2013, 60-61.

სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დროს უპირველესი მოთხოვნაა, რომ საჯარო დაწესებულებები მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში და მის შესაბამისად. ამასთან, კანონი, რომლის საფუძველზეც ხდება შეზღუდვა, უნდა აკმაყოფილებდეს კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებს. შეზღუდვის გამართლების მეორე კრიტერიუმი, მოითხოვს, რომ შეზღუდვა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. კერძოდ, კონვენციის თანახმად, ასეთ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს ეროვნული უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობა, უნესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობისა და მორალის, ასევე სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. საბოლოო, მესამე კრიტერიუმი მოითხოვს, რომ შეზღუდვა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაშასადამე შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოში არსებულ სოციალურ მოთხოვნებს. უფლების შეზღუდვისას გამოყენებული უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება. შეზღუდვა უნდა იყოს საკმარისად დასაბუთებული.⁵⁵

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში ინტერნეტ შინაარსის რეგულირების განსხვავებული მიდგომებია, რაც ნათლად ჩანს მათ მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო დოკუმენტებიდან. მაგალითისათვის, ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული კიბერდანაშაულის კონვენციის დამატებითი ოქმი⁵⁶ მოითხოვდა, მათ შორის, კომპიუტერული სისტემის მეშვეობით რასისტული და ქსენოფობიური შინაარსის შემცველი მასალის, კერძოდ, მუქარისა და შეურაცხყოფის გავრცელების კრიმინალიზებას. წევრი სახელმწიფოებიდან 15-მა მოაწერა ხელი პროტოკოლს, 18-მა მოახდინა მისი რატიფიცირება, ხოლო 23-მა სახელმწიფომ, ანუ 41.1%-მა უარი განაცხადა ხელმოწერასა და რატიფიცირებაზე.⁵⁷

მიუხედავად ერთიანი ხედვის არარსებობისა, შესაძლოა, გამოიყოს ინტერნეტ შინაარსის ის კატეგორიები, რომლებიც სცდება გამოხატვის თავისუფლებით

⁵⁵ European Court of Human Rights, Aleksey Ovchinnikov v. Russia, 24061/04, 16/12/2010, 51.

⁵⁶ Council of Europe, Additional Protocol to the Convention on Cybercrime, concerning the criminalisation of acts of a racist and xenophobic nature committed through computer system, Chapter II, article 3-7.

⁵⁷ Organization for security and Co-operation in Europe, Freedom of expression on the internet, 2010, 21. <https://www.osce.org/fom/105522?download=true> [13/07/2019]

დაცულ სფეროს, სახელმწიფოთა უმეტესობაში რეგულირებას ექვემდებარება და, ხშირად, სისხლისსამართლებრივად ისჯება. ესენია:

- რასისტული და ქსენოფობიური შინაარსის შემცველი განცხადებები და სიძულვილის ენა;
- მომხდარი გენოციდის და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების უარყოფა ან გამართლება;
- ტერორიზმის სტიმულირება ან/და პროპაგანდა;
- ბავშვთა პორნოგრაფია;
- უხამსი და სექსუალურად ექსპლიციტური პორნოგრაფია;
- ინტერნეტ მეკობრეობა;
- ინტერნეტის მეშვეობით პირის შეურაცხყოფა და დისკრედიტაცია;
- ექსტრემისტული განცხადებებისა ან/და ექსტრემიზმის წამახალისებელი იდეების გამოხატვა.

ევროპული სასამართლოს მოსამართლე არბიტრის მოსაზრების თანახმად, ინტერნეტ შინაარსის ბლოკირებას თან უნდა ახლდეს გარკვეული სტანდარტები და ვალდებულები, იმისათვის, რომ გადამეტებულად არ შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. 1. უნდა განისაზღვროს ის პირები ან ინსტიტუციები, რომელთა პუბლიკაციებიც ექვემდებარება დაბლოკვას; 2. განისაზღვროს, თუ რა მოცულობით ხორციელდება ბლოკირება; 3. დადგინდეს ბლოკირების ტერიტორიული ფარგლები; 4. ბლოკირების დროითი ფარგლები; 5. დასახელდეს კონვენციით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი რომლის გამოც მოხდება ინტერნეტ-შინაარსის ბლოკირება; 6. დაცულ იქნას პროპორციულობის პრინციპი, სამართლიანად განისაზღვროს ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და დაცულ ინტერესს შორის; 7. შესაბამისი იყოს აუცილებლობის პრინციპთან; 8. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბლოკირების ღონისძიების განხორციელება იყოს დასაბუთებული; 9. ნორმატიული აქტით გაიწეროს ბლოკირების შესახებ ბრძანების გამოცემის წესი და პროცედურები. 10. მომხმარებლისთვის ბლოკირების ბრძანებისა და შინაარსის ბლოკირების

საფუძვლების შეტყობინება. 11. ბლოკირების ბრძანების სასამართლოში გასაჩივრების უზრუნველყოფა.⁵⁸

4.2. დემინფორმაციის, მცდარი ცნობების გავრცელება სოციალურ მედიაში

სოციალური მედია განუსაზღვრელ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, რაც, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების აზრზე ზეგავლენის, მისი ფორმირების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს აჩენს.

ციფრული ტექნოლოგიებისა, და სოციალური მედიის განვითარებასთან ერთად, არსებობს პირებისთვის მცდარი ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვანი რისკები/შესაძლებლობები. მცდარი ახალი ამბები ეპიდემიურად ვრცელდება, იკავებს მთავარ სათაურებს და იქცევა ჩვენს ყურადღებას. ჰიპერბოლა, გადამლაშება, პრაქტიკული ხუმრობები, ჭორები, გამოგონილი პერსონები, ბოროტი ტყუილები და მუქარები არ არის უჩვეულო სოციალური მედიისთვის. ამდენად, სოციალურ ქსელებს უცერემონიოდ, უემოციოდ მივყავართ სიმართლის ახალ დამოკიდებულებასთან. სოციალური მედიით ანონიმურად შენიღბვის შესაძლებლობა კი საშუალებას აძლევს გამომწერებს უფრო აგრესიულად გაავრცელოს მცდარი ინფორმაციები. ტყუილების ნაწილი უვნებელია. სოციალურ ქსელებში ჩვეული მოვლენაა მომხმარებლების მიერ გაზვიადება მათი ცხოვრებისა და სოციალური სტატუსის შესახებ, ისინი იტყუებიან თავიანთ სიმაღლეს და წონასაც კი, იმისათვის, რომ უფრო სასურველები აღმოჩნდნენ სოციუმისთვის, მაგრამ ზოგიერთი ტყუილი მართლაც რომ საზიანოა.⁵⁹

ინტერნეტში დემინფორმაციის გავრცელებას შეუძლია, გავლენა მოახდინოს სააქციო ბაზრის მდგომარეობაზე, ბუნებრივი კატასტროფაზე მყისიერ რეაგირებაზე, ტერორისტულ აქტივობებზე. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი მცდარი ცნობებისა არის მისი გავლენა უნარიანობა პოლიტიკურ ცხოვრებაზე, არჩევნების

⁵⁸ European Court of Human rights, Ahmet Yildirim v. Turkey, Concurring opinion of judge Pino De Albuquerque, 3111/10, 18/12/2012.

⁵⁹ Luis W. Tompro, Richard A. Crudo, Alexis Pfeiffer, Rahel Boghossian, The constitutionality of criminalizing false speech made on social networking sites in a post-Alvarez, social media-obsessed World, 2017, 67.

<https://jolt.law.harvard.edu/assets/articlePDFs/v31/31HarvJLTech65.pdf> [13/07/2019]

შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებით მანიპულირება. სწორედ ამის გამო ცდილობენ სახელმწიფოები და სოციალური მედია მენეჯმენტები შეზღუდონ ასეთი ინფორმაციის სოციალურ ქსელებში გავრცელება.⁶⁰

ზოგადად, მცდარი ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე ხერხს გამოარჩევენ, მათ შორის, მისინფორმაციასა და დეზინფორმაციას. მისინფორმაცია, თავისი არსით, მცდარი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებაა, თუმცა აღნიშნული დეზინფორმაციისაგან განსხვავებით განზრახ არ ისახავს მიზნად საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. თუმცა, ორივე გზა გავლენაუნარიანია, როგორც რეალობისა და სიმართლის აღქმაზე, ასევე საზოგადოების აზრის ფორმირებაზე.

მისინფორმაციასთან მიმართებით აღსანიშნავია შემთხვევები, როდესაც მომხმარებლებს დაუპოსტიათ მცდარი ინფორმაცია საგანგებო მდგომარეობასა და ბუნებრივ კატასტროფებზე. აშშ-ის მოქალაქეების 66% სიახლეებს ეცნობა სწორედ სოციალური ქსელების, კერძოდ კი, ფეისბუქისა და თვითერის მეშვეობით. ამდენად, ცნობები მასობრივ სროლებზე, ტერორისტულ თავდასხმებზე, მინისძვრებზე ან ქარიშხლებზე საკმაოდ შემაშფოთებელია საზოგადოებისთვის. ამ მხრივ, ყელაზე მასშტაბური იყო ბოსტონის მარათონის დაბომბვის შესახებ ცნობა, რაც აგრეთვე შემდგომ სოციალური მედიაზე დაყრდნობით გადასცა ტელევიზიამ და მოხდა უდანაშაულო ადამიანების დაჭერა.⁶¹

სოციალურმა მედიამ დეზინფორმაციის, როგორც პროპაგანდის მნიშვნელოვანი ხერხის, გამოყენების შესაძლებლობა მაქსიმუმამდე გაზარდა. აღნიშნულ პროცესში მთავარი ფაქტორი სოციალური მედიისავე მონაცობაა, რომლის ფარგლებშიც, განსხვავებით სხვა მედია წყაროებისგან, არ გვხვდება ცენზორი, ამასთან, არ და, ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება გამოქვეყნებული მასალის *ex post factum* შემოწმება. გარდა ამისა, სოციალური მედიის თავისუფალი სივრცე იძლევა ე. წ. „ბოტების“ სისტემის დანერგვის შესაძლებლობას, რის შედეგადაც არარსებულ

⁶⁰ Srija Kumar, Neil Shah, False information on web and social media: A survey, 2018, 11.

<https://arxiv.org/pdf/1804.08559.pdf> [13/07/2019]

⁶¹ Luis W. Tompro, Richard A. Crudo, Alexis Pfeiffer, Rahel Boghossian, The constitutionality of criminalizing false speech made on social networking sites in a post-Alvarez, social media-obsessed World, 2017, 68.

<https://jolt.law.harvard.edu/assets/articlePDFs/v31/31HarvJLTech65.pdf> [13/07/2019]

ინდივიდს შესაძლოა, მილიონამდე გამოგონილი გამომწერი და იმდენივე ნამდვილი მომხმარებელი ყავდეს.

ამ ერთი შეხედვით ზღვა შესაძლებლობის ფარგლებში, პოლიტიკური თუ კომერციული აქტორები საკუთარი პოზიციების, პროდუქტის, ინტერესების გასაყიდად თუ გასავრცელებლად აქტიურად მიმართავენ დემინფორმაციის გზას. ამ მეთოდით ხდება არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის გავრცელება, არამედ საზოგადოებრივ დისკურსებში ჩართვა და სხვადასხვა პოზიციების საერთო აზრად წარმოჩენა. დემინფორმაცია აქტიური ხერხია საზოგადოების დაპირისპირებისთვის, ეთნიკური შუღლის, რასობრივი დაპირისპირებისა თუ უმცირესობის უფლებების შესაღებად. ცალკეულ მაგალითები ცხადყოფს, რომ დემინფორმაცია ახდენს არა მხოლოდ კონკრეტული იდეის ლობიზმს ან ჯგუფის დისკრედიტაციას, არამედ, ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეალობის გაფერმკრთალებასა და მცდარი შეხედულებების დამკვიდრებაში. მეტიც, მისი ბიძგები არყვეს დემოკრატიულ ღირებულებებს და მხარს აძლევს ტოტალიტარულ რეჟიმებს.

დემინფორმაციის ყველაზე მძლავრი გამოვლინება პოლიტიკურ სფეროში გვხვდება. ამ მექანიზმმა საკუთარი კვალი დაატყო ისეთ პოლიტიკურ მოვლენებს, როგორებიცაა მიგრანტთა საკითხები, დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმი,⁶² კატალონიის სეცესიის პროცესი⁶³ და სხვა. მეტიც, დემინფორმაცია არჩევნების თანმდევნი და განუყოფელი პროცესი იყო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ფილიპინები, ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია, სამხრეთ კორეა, ჩეხეთის რესპუბლიკა და სხვა. ამ ხერხით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ახდენდნენ, როგორც კონკრეტული კანდიდატები, ასევე სახელისუფლებლო ორგანოები და გარეშე ძალები.⁶⁴

⁶² Final Say: The misinformation that was told about Brexit during and after the referendum

<https://www.independent.co.uk/news/uk/politics/final-say-brexit-referendum-lies-boris-johnson-leave-campaign-remain-a8466751.html> [13/07/2019]

⁶³ How fake news helped shape the Catalonia independence vote

https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2017/10/19/how-fake-news-helped-shape-the-catalonia-independence-vote/?noredirect=on&utm_term=.184f6a8d0cb3 [13/07/2019]

⁶⁴ Online disinformation and manipulation targeted elections in at least 18 countries

<https://www.stopfake.org/en/online-disinformation-and-manipulation-targeted-elections-in-at-least-18-countries/> [13/07/2019]

აღსანიშნავია სოციალურ მედიაში მანიპულაციის ე.წ. „შავი ბაზარი“. ეს არის ყველა არაოფიციალური გვერდი და წყარო, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ვიყიდოთ მონონებები, გაზიარებები, გამომწერები და ანგარიშები.⁶⁵ რა თქმა უნდა, ეს სერვისი არსებობს სოციალური პლატფორმის სერვისის პირობების საწინააღმდეგოდ, რომელიც კრძალავს მონონებების, გაზიარებების და გამომწერების ყიდვას. შავი ბაზრის სერვისი დაურეგულირებელი და არასანდოა, აქვს შემდეგი უარყოფითი რისკები: ტექნიკური რისკები - აქტივობები შესაძლოა, დაიბლოკოს სოციალური მედიის მიერ. რეპუტაციული რისკი - კომპანიის ან ინფლუენსერების მიერ შავი ბაზრის მანიპულაციების გამოყენება ნეგატიურად აისახება მათ რეპუტაციაზე მომხმარებელთა მხრიდან. ამასთანავე, ასეთი გზით გაზიარებული პროდუქცია ან ინფორმაცია არამდგრადია და მხოლოდ მოკლევადიანი წარმატებისთვის გამოდგება.

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, იგი მაინც აქტუალური და მოთხოვნადია ბაზარზე, ვინაიდან წარმოადგენს მარტივი მანიპულირების მექანიზმს საზოგადოებრივი აზრის შექმნისთვის, პოპულარიზებისთვის, ფინანსური და პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის. აგრეთვე, სოციალურ ქსელში არც თუ ისე მარტივი აღმოსაჩენია მცდარი მონონებები და აქტივობები.⁶⁶

შავ ბაზარზე სოციალური მანიპულაციის მომსახურება მრავალგვარია, სერვისის ხარისხიანობაზეც მრავალი გარემოება მეტყველებს: ყალბი ანგარიშები შექმნილია ავტომატურად თუ ხელით, დაუდასტურებელია თუ არა ანგარიშები, აქვს თუ არა პროფილის სურათები, სხვა სურათები, აქტიური პოსტები. ეს ყველაფერი განაპირობებს როგორც მანიპულაციის ხარისხს ასევე ფასსაც. ამდენად, ეს ბაზარი საკმაოდ დიდი და წარმატებულია, ზოგს მეტი მონონება უნდა თავის ფოტოზე, ზოგს კიდევ სარეკლამო ინდუსტრიის ხარჯზე ფინანსური წარმატების მოპოვება, პოლიტიკურ ჯგუფებს კი უფრო მეტი ზეგავლენის მოხდენა არჩევნების შედეგებზე.⁶⁷

სოციალური მედიის მანიპულაცია ძირს უთხრის დემოკრატიას, ანელებს სოციალური მედიის განვითარების პროცესს. რის გამოც სოციალური ქსელის გიგანტებმა გამოთქვეს მზაობა მათი პლატფორმის უკეთ დაცვისთვის. თუმცა ამის

⁶⁵ Nato StratCom Coe Singularex, The black market for social media manipulation, 2018, 5.

<https://www.stratcomcoe.org/black-market-social-media-manipulation> [13/07/2019]

⁶⁶ იქვე, 6.

⁶⁷ იქვე, 10.

მიუხედავად, დღესაც საკმაოდ იაფი და ეფექტური მექანიზმია სოციალური ქსელით მანიპულაციები. გადაჭრის ყველაზე მკაფიო საშუალებად კი სოციალურ მედიაში რეგისტრაციისთვის სატელეფონო აქტივაციის სავალდებულო დამატება განიხილება.⁶⁸

შედეგად, დემინფორმაციის უნარმა, დემოკრატიულ რეჟიმებშიც კი მოახდინოს ხალხის რეალური ნებისაგან განსხვავებული შედეგის დაყენება, მისმა შეუზღუდავმა მასშტაბებმა, საზოგადოებები და სახელმწიფოები რეალობის დაცვის მწვავე საჭიროების წინაშე დააყენა. თავდაპირველად, აღნიშნული გამონკვევის გადაჭრის გზების ძიება დაიწყო სწორედ იმ პლატფორმებმა, რომლებმაც თავად შეუქმნეს ნოყიერი ნიადაგი დემინფორმაციის გავრცელებას. ისეთმა სოციალური მედიებმა, როგორებიცაა ფეისბუქი და თვითერი, აამუშავეს მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც მოწმდება გავრცელებული ინფორმაციის სისწორე. თუმცა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აღნიშნული მექანიზმები სუსტია და ვერ უმკლავდება მცდარი ინფორმაციის იმ ნაკადს, რომლებიც ვრცელდება. ამასთან, მიუხედავად ინფორმაციის მცდარობის შემონმების ცალკეული გზებისა, კომპანიები გამოხატვის თავისუფლების დაცვის მოტივით მოქმედებენ მკაცრად შეზღუდულ ჩარჩოებში. დემინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში აქტიურადაა ჩართული არასამთავრობო სექტორი და მედია ორგანიზაციებიც, რომლებიც ცდილობენ არა მხოლოდ მცდარი ინფორმაციის აღმოჩენას, არამედ ეთიკური მედიის როლის გაძლიერებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის იუნესკოს საქმიანობაც, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა შესაბამისი გაიდლაინები და საინფორმაციო კამპანიები⁶⁹.

აღსანიშნავია ევროკავშირის ბრძოლა დემინფორმაციის წინააღმდეგ, რომლის ძირითადი მეტოქეც რუსეთის ფედერაცია და მისი პროპაგანდაა. ამ მიზნით ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია⁷⁰ და შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც

⁶⁸ Nato StratCom Coe Singularex, The black market for social media manipulation, 2018, 17.

<https://www.stratcomcoe.org/black-market-social-media-manipulation> [13/07/2019]

⁶⁹ Unesco series of Journalism education, Journalism, fake news & disinformation, 2018, 12.

https://en.unesco.org/sites/default/files/journalism_fake_news_disinformation_print_friendly_0.pdf [13/07/2019]

⁷⁰ European Parliament resolution of 23 November 2016 on EU strategic communication to counteract propaganda against it by third parties

http://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2016-0441_EN.html?redirect [13/07/2019]

იკვლევს დეზინფორმაციის შემთხვევებს. აღნიშნული ჯგუფის საინფორმაციო ბიულეტენში მოხვდა დეზინფორმაციის ისეთი შემთხვევები, რომლებიც შეეხებოდა საქართველოში ლუგარის ლაბორატორიის ფუნქციონირებას, 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების, როგორც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის წინასწარ დაგეგმილ ოპერაციას, საქართველოს მონაწილეობას რუსეთისა და უკრაინის კონფლიქტში და სხვა⁷¹.

მიუხედავად სოციალური მედიის მიერ დამკვიდრებული სტანდარტებისა და ევროკავშირის ცალკეული პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა, დეზინფორმაციის გავრცელება კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს. მართლაც არასწორი ინფორმაციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია არ აღმოჩნდა საკმარისი რეალობის დასაცავად. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მზარდი ჰიბრიდული ომი, ისეთივე საფრთხეა ნამდვილი გამოხატვის თავისუფლებისა, საზოგადოების რეალური აზრისა და მათ გარშემო მიმდინარე მოვლენებისა, როგორც იყო დეზინფორმაცია საბჭოთა კავშირში და მეტიც, დღეს აღნიშნული საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ 15 მოკავშირე რესპუბლიკას, არამედ დემოკრატიულ ამერიკას და განვითარებულ დასავლეთს.

ამდენად, იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების რეალობით ინფორმირება და გამოგონილი ამბებით ზეგავლენისაგან დაცვა, მნიშვნელოვანია გაიზარდოს სახელმწიფოთა ჩართულობა დეზინფორმაციასთან ბრძოლაში. აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს, როგორც ცალკეული საკანონმდებლო მექანიზმებით, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ორგანოები მოითხოვენ მცდარი ინფორმაციის წაშლას, ან თავად სოციალური მედიისთვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრებით.

მსგავსი მიდგომა არჩია საფრანგეთმა და 2018 წლის მინერულს მიიღო კანონი „ინფორმაციით მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“⁷², რომლის მეშვეობითაც მეტად დაიცვა საარჩევნო პროცესი მცდარი ინფორმაციის გავრცელებისაგან. კანონმა საფრანგეთის ხელისუფლებას მისცა შესაძლებლობა,

⁷¹ Disinformation cases

https://euvsdisinfo.eu/disinformation-cases/?text=georgia&disinfo_issue=&date=&offset=0 [13/07/2019]

⁷² აღსანიშნავია, რომ კანონი წინასწარ შეფასდა საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს მიერ და გარკვეული შენიშვნების მიუხედავად მიღებული იქნა დადებითი დასკვნა. იხ. Decision No. 2018-773 DC of December 20, 2018

ერთი მხრივ, მოითხოვოს სოციალური ქსელებიდან მცდარი ინფორმაციის წაშლა, ხოლო, მეორე მხრივ, თავად მოახდინოს შესაბამისი კონტენტის ბლოკირება. ზოგადად, სახელმწიფოსათვის ამგვარი უფლებამოსილება შესაძლოა, ნამდვილად, ქმნიდეს დეზინფორმაციის სახელით გამოხატვის თავისუფლების ზომამზე მეტად შეზღუდვის რისკებს. თუმცა, პროპორციულად დარეგულირებული კანონმდებლობის ფარგლებში, სახელმწიფო ასრულებს საკუთარ ვალდებულებას, დაიცვას გამოხატვის თავისუფლება, რათა მცდარი ინფორმაციის გავრცელებით არ გაფერმკრთალდეს იგი.

დეზინფორმაციასთან ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ფაქტების-შემომწმენელი. აშშ-ში ბოლო დროს შეიქმნა გლობალური საქმიანობის ცენტრი, რომელიც ეხმარებოდა აშშ-ს ხელისუფლებას, რათა საინფორმაციო ნაკადი არ ყოფილიყო წაბილწული დასპონსორებული მცდარი ცნობებისა და სიყალბეებისგან. ასეთი ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის იდენტიფიცირება, ამოცნობა, გამოაშკარავება და ბრძოლა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნებისგან, რომელთა მიზანიც იყო აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისთვის ძირის გამოთხრა. შემდგომ მსგავსი მექანიზმი შეიქმნა ევროკავშირის მასშტაბითაც, აღმოსავლეთის სტრატეგომ კომისია, რომლის მიზნადაც ასევე განისაზღვრა დეზინფორმაციასთან ბრძოლა.⁷³

დღესდღეობით ევროკავშირის მასშტაბით მსგავსი დეზინფორმაციის მიმოხილვის საშუალებები მოიცავს 400-ზე მეტ ქესპერტს, ჟურნალისტს, ოფიციალურ წყაროებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ყველა მათგანის მიზანი კი არის აღმოფხვრას და ებრძოლოს იმ მცდარი ცნობების გავრცელებას, რომელიც ვრცელდება ინტერნეტში, კერძოდ კი სოციალურ მედიაში, სხვადასხვა პოლიტიკური ამინდის შესაქმნელად.

ამ მხრივ, ამგვარი პლატფორმები აქტიურად თანამშრომლობენ ფეისბუქთან, რომელიც ეხმარება მათ მცდარი ცნობების შემდგომი გავრცელების პრევენციაში. ავტომატური ალგორითმი ამცირებს ასეთი პოსტების მოხვედრას

⁷³ Policy department for citizens' rights and constitutional affairs, Disinformation and propaganda – impact on the functioning of the rule of law in the EU and its member states, 2019, 145.
http://aei.pitt.edu/97042/1/disinformation_and_propaganda.pdf [13/07/2019]

მომხმარებელთან პირად გვერდზე. რაც, აგრეთვე წარმოადგენს უფრო ნაკლებად მზლუდავ საშუალებას გამოხატვის თავისუფლების ჩარევის სფეროში.⁷⁴

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა სფეროში აღნიშნული მცდარი ცნობების გავრცელება ან მსგავსი მეთოდებით პიარ კამპანია განსხვავებული სიმკაცრით უნდა შემოწმდეს. შესაძლოა, სამართლებრივი რეაგირების გარეშე დარჩეს პირის მიერ სოციალურ ქსელში მის შესახებ არსებული ინფორმაციის გაყალბება, მისი ვიზუალის შეცვლა ან ყალბი ანგარიშებით მოწონებების მოპოვება და გაპოპულარულება. თუმცა იგივე მიდგომა ვერ გავრცელდება პოლიტიკური მოსაზრების გავრცელებისას, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, როდესაც პარტიების მიერ მიმდინარეობს ინფორმაციული ომი. ამ დროს ბუნებრივია, პოლიტიკური კამპანიის სწორად წარმართვის საჭიროა მომხმარებლებმა იცოდნენ თუ რა სახის ინფორმაცია რამდენად სანდო წყაროსგან მიეწოდება მათ. სოციალურ პლატფორმასთან რეგულირებისას გამოყენებული უნდა იყოს ყველა ის პრინციპი რაც არსებობს ტრადიციულად საარჩევნო-პოლიტიკურ კამპანიებში, მსგავსი სახის რეკლამები გამიჯნული უნდა იყოს ახალი ამბებისგან და იდენტიფიცირებული უნდა იყოს ამ რეკლამის წყაროები.⁷⁵

1. მნიშვნელოვანია ინფორმაციის გავრცელების მეთოდების მონიტორინგი - ბოტები, ავტომატური ანგარიშები და ხელოვნური ინტელექტი უნდა გამოირიცხოს ინფორმაციის გამოქვეყნებისა და გავრცელებისას და საჯარო საკითხების რეკლამირებისას.
2. გამჭვირვალობის თვალსაზრისით - სოციალურმა პლატფორმამ პროაქტიულად უნდა დაადასტუროს რეკლამის დამკვეთის იდენტობა (მყიდველი და მისი კლიენტი) და მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი იყოს ეს ინფორმაცია.
3. მომხმარებელს უნდა შეეძლოს აკონტროლოს პოლიტიკური ჯგუფის მიმდინარე და ისტორიული პოლიტიკური ხასიათის რეკლამები, მასში გადახდილი თანხა, თუ ვინ იყო ფოკუს ჯგუფი და რა გეოგრაფიულ არეალზე ვრცელდებოდა იგი, რამდენი ხნის განმავლობაში იყო იგი აქტიური.

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ Policy department for citizens' rights and constitutional affairs, Disinformation and propaganda – impact on the functioning of the rule of law in the EU and its member states, 2019, 143.

http://aei.pitt.edu/97042/1/disinformation_and_propaganda.pdf [13/07/2019]

4. აგრეთვე ეს ხარჯები ჩვეულებრივ უნდა შედიოდეს პოლიტიკური პარტიის პიარ-კამპანიისთვის განკუთვნილ ხარჯებში, არ უნდა აცდეს მაქსიმალურ ოდენობას.

5. დაფინანსებული გვერდებით მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ნამდვილი და მორგებული რეალურ სოციალურ საჭიროებებს. არ იყოს დაფუძნებული შიშზე, სოციალურ წნეხსა და ინსტიქტებზე. თავიდან იქნას აცილებული სიძულვილი და მტრული ენა.⁷⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, რაც შეიძლება ნაკლები ოდენობის მცდარი ინფორმაცია გავრცელდეს სოციალური მედიის მეშვეობით, ვინაიდან დღეს-დღეობით იგი წარმოადგენს ინფორმაციის მიმოსვლის ერთ-ერთ უმთავრეს პლატფორმას. ხოლო, მეორე მხრივ, რამდენადაც შესაძლებელია მკაფიოდ გაივლოს მიჯნა იმ დასაშვებ ტყუილებს შორის, რაც ჯდება გამოხატვის უფლებაში და ისეთ ტყუილებზე, რომლებიც ზიანს აყენებს საზოგადოებას.

ზოგიერთმა პლატფორმამ უკვე მიიღო ზომები მცდარი ცნობების იდენტიფიცირებისთვის. 2018 წლის იანვარში ფეისბუქმა განაცხადა, რომ იგი აპირებდა პრიორიტეტიზაცია მოეხდინა მაღალი ხარისხის ახალ ამბებისთვის სოციალურ ქსელში, რისთვისაც სოციალურ ქსელში მომხმარებლებს მიეცათ შესაძლებლობა შეეფასებინათ ახალი ამბების წყაროები თუ რამდენად დამაჯერებელი და სანდო იყო ისინი. აღნიშნულით ეს პლატფორმა შეეცადა გამკლავებოდა დღეს მსოფლიოში არსებული სენსაციონალზიმის, დეზინფორმაციისა და პოლარიზაციას. თუმცა ამ წამოწყებამ წარმოშვა სირთულეებიც, მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში, სადაც დემოკრატიის ხარისხი დაბალია, ახალი ამბების წყარო, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნას სანდოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ცენზურირებული ან უკანონოდაა გამოცხადებული სახელმწიფოს მიერ. იქაც კი, სადაც დამოუკიდებელი მედია არ არის უკანონოდ გამოცხადებული, ფეისბუქის რანჟირების სისტემა შესაძლოა იქცეს მანიპულირების საშუალებად, ალტერნატიული და ნაკლებად ცნობილი ახალი ამბების წყაროები შესაძლოა, შთანთქმულ იქნას დომინანტი მედია საშუალებების

⁷⁶ Policy department for citizens' rights and constitutional affairs, Disinformation and propaganda – impact on the functioning of the rule of law in the EU and its member states, 2019, 145.

http://aei.pitt.edu/97042/1/disinformation_and_propaganda.pdf [13/07/2019]

მიერ. აღნიშნული სისტემის პრობაცია მოხდა სერბეთში, თუმცა არსებობდა რისკები, რომ საფრთხე დამუქრებოდა მცირე დამოუკიდებელ მედიას.⁷⁷

ფეისბუქის საზოგადოებრივი სტანდარტებით იზღუდება მცდარი ცნობების გავრცელება. ფეისბუქი ამახვილებს ყურადღებას იმაზე თუ რა რთულია რეალურად მცდარი ცნობების ამოცნობა და ამასთანავე მისი გამიჯვნა სატირისგან ან მოსაზრებისგან. შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ ნაშალოს ასეთი შინაარსი, მნიშვნელოვნად ამცირებს მის გავრცელებას მომხმარებელთა ახალი ამბების გვერდში.

ამ მიზნით ფეისბუქი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:⁷⁸

- ეკონომიკურად ზღუდავს მომხმარებლებს, გვერდებსა და ღომეინებს, რომლებიც ახორციელებენ დეზინფორმაციის პროპაგანდას;
- იყენებენ სხვადასხვა სიგნალებს, მაგალითად, უკუკავშირებს, იმისათვის, რომ მომხმარებელმა მოახდინონ მცდარი ცნობების იდენტიფიცირება;
- მესამე მხარის, ფაქტების შემოწმებელი პირების დასკვნების საფუძველზე ზღუდავს ინფორმაციის გავრცელებას;
- მომხმარებლებისთვის თართო სპექტრის ინფორმაციის მინოდების და გადარჩევის უზრუნველყოფა;
- აკადემიურ და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დეზინფორმაციასთან ბრძოლა მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, როგორც საკანონმდებლო მექანიზმებით, აგრეთვე სოციალური მედიის მეშვეობით. ამასთანავე, აუცილებელია, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავდეს იმ ყალბ ინფორმაციის ტიპებს, რომელიც უნდა დაეჭვმდებაროს ნაშლას ან/და სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ზოგიერთ ინფორმაციასთან მიმართებით, აგრეთვე, პასუხისმგებლობის წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს ზიანის მიყენება ან ზიანის დადგომის საფრთხე. რეპრესიული ღონისძიებების გარდა ამ სფეროში მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების გატარება, სოციალური მედია სფეროს გაძლიერება და ფაქტების შემოწმებელი და სხვა

⁷⁷ Association for progressive Communications, Content Regulation in the Digital Age, 2018, 6. <https://www.ohchr.org/Documents/Issues/Opinion/ContentRegulation/APC.pdf> [13/07/2019]

⁷⁸ Facebook community standards https://www.facebook.com/communitystandards/false_news [13/07/2019]

ინფორმაციის გამავრცელებელი საშუალებით საზიანო პროპაგანდის მხილება. სოციალურ მედიასთან მიმართებით კი პირველ რიგში აუცილებელია გართულდეს რეგისტრაციის მექანიზმები, რათა ბოტების მეშვეობით არ მოხდეს საზოგადოებრივი განწყობების შექმნა და სოციუმზე მანიპულაცია. ამ მხრივ, შესაძლოა, ანგარიშის ტელეფონის ნომერზე მიბმა წარმოადგენდეს ეფექტურ მექანიზმს ყალბი ანგარიშების გასაუქმებლად. აგრეთვე, საჭიროა სოციალურმა მედიამ გაათავოთოვოს ჰუმანური რესურსები ყალბი ინფორმაციის აღმოფხვრის სფეროში, რათა მომხმარებლის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაზე მყისიერად მოხდეს რეაგირება და შინაარსის წაშლა.

4.3. გამოხატვის თავისუფლებიდან მომდინარე მყისიერი საფრთხე და მასზე რეაგირება

სოციალურ ქსელი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, თითოეულ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, მყისიერად დააფიქსიროს საკუთარი აზრი მიმდინარე სოციალურ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოვლენებთან დაკავშირებით. ამ მხრივ, ხშირია ემოციურ ფონზე, გარკვეული პოზიციების გავლენით გაკეთებული განცხადებები, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, იყოს საზოგადოებისათვის მიუღებელი. რასაკვირველია, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ესა თუ ის გამოხატვა, თავისი ფორმით ან შინაარსით, მიუღებელია საზოგადოების უმრავლესობისათვის ან მისი რომელიმე ჯგუფისათვის, არ აქცევს მას ნაკლებად დაცულ ან გამოხატვის თავისუფლების მიღმა არსებულ მოცემულობად. თუმცა, შესაძლოა, არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის მოსაზრება სცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, წარმოადგენს დანაშაულის ჩადენისაკენ მოწოდებას, მიმართულია სხვათა უფლებების დარღვევისაკენ, ამასთან, წარმოშობს მყისიერ საფრთხეს და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას. გამოხატვის თავისუფლებასთან და მის შემზღუდვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, როგორც წესი, მორგებული არაა სოციალური ქსელის თავისებურებებთან, არ ითვალისწინებს ამგვარი პლატფორმების ინდივიდუალურ მახასიათებლებს და ვერ პასუხობს ამ კუთხით არსებულ გამოწვევებს. ძალიან რთულია ამომწურავი კრიტერიუმების დადგენა იმის შესაფასებლად თუ გამოხატვის რომელი ფორმა ან შინაარსი, როგორი მოწოდება შეიძლება წარმოშობდეს დანაშაულის ჩადენის, ადამიანის უფლებათა დარღვევის მყისიერ საფრთხეს და რა შემთხვევებში როგორ

რეაგირებას უნდა ახდენდეს სახელმწიფო, თუმცა შესაძლოა სხვადასხვა ზოგად სტანდარტებზე შეჯერება, რომელიც უფრო ნათელს გახდის ამ მხრივ არსებულ რეალობას.

სოციალურ ქსელში შესაძლოა, პირმა გამოთქვას სხვადასხვა მოწოდება, მათ შორის, დანაშაულის შესაძლო ჩადენის, ადამიანის უფლებათა დარღვევის, არეულობისა და საზოგადოებრივი წესრიგის მოწოდებისკენ მიმართული. მაგალითად, 2011 წელს ლონდონში მარკ დუგანის მკვლელობის გამო დაწყებული არეულობა სწორედ სოციალური ქსელის საშუალებით დაიწყო და დაიგეგმა,⁷⁹ ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოციალური ქსელები და იქ განხორციელებული მოწოდებები საფრანგეთში მიმდინარე პროტესტის ორგანიზებაში.⁸⁰ სოციალური ქსელის და ამ პლატფორმის მასშტაბების გათვალისწინებით, მიიჩნევა, რომ იგი არის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დიდი რისკის მატარებელი და, ამ მხრივ, მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ახდენს ისეთი ქმედებების კრიმინალიზაციას, როგორცაა ძალადობისკენ, ტერორიზმისკენ მოწოდება, ამბოხი, ძალოვანი უწყებებისათვის დაუმორჩილებლობა და ა.შ. თუმცა, რთულია მკაფიო ზღვრის გავლება ძირითადი უფლებით დაცულ გამოხატვასა და სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებას შორის.

ამა თუ იმ ფორმისა და შინაარსის გამოხატვასთან დაკავშირებით სანქციების და მით უფრო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, აუცილებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასდეს რა რისკი მომდინარეობს სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადებებიდან თუ მოწოდებებიდან, რამდენად აკმაყოფილებს იგი რეალური საფრთხის სტანდარტს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია. ყურადღება მიექცეს არა მხოლოდ მოწოდების შინაარსს, არამედ კონტექსტს, რა ვითარებაში მოხდა განცხადების გავრცელება, რამდენად აქვს პირს კონკრეტული ქმედების განხორციელების შესაძლებლობა და

⁷⁹ Peter Coe, The social media paradox: an intersection with freedom of expression and the criminal law, 2014, 21.

https://research.aston.ac.uk/portal/files/16257882/Social_media_paradox_an_intersection_with_freedom_of_expression_and_the_criminal_law.pdf?fbclid=IwAR0s7be5GnJs7gIkvVL1vzGgYYDPeSjYDkY-tr-k-tiwGNmdhGB9nk3-SW0 [13/07/2019]

⁸⁰ Facebook's role in the French protests has polarized observers

<https://www.theverge.com/2018/12/11/18135273/yellow-vest-facebook-france-protests> [13/07/2019]

როგორ აღიქმება იგი საზოგადოების მიერ.⁸¹ მაგალითად, როდესაც საზოგადოებაში არსებობს მაღალი ემოციური ტონი ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით და ამ ტონზე კეთდება კონკრეტული დანაშაულებრივი მოწოდება ან ადამიანის უფლებათა დარღვევისკენ მიმართული განცხადება, შესაძლოა, უფრო მეტად წარმოიშვას რეალური საფრთხის შექმნის რისკი, ვიდრე ამგვარი მოწოდების სტაბილურ სიტუაციაში გავრცელების შემთხვევაში. ამასთან, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს მოწოდების განმახორციელებელი პირის განზრახვას და მოტივებს. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, კონკრეტული პიროვნების მიერ გაკეთებული მოწოდება საზოგადოებამ არ აღიქვას რეალურად, სერიოზულად და არ წარმოშობდეს რაიმე საფრთხეს. ამ მხრივ, ასევე საყურადღებოა განცხადების ადრესატის შეგრძნებები და მოლოდინები, რომელიც შესაძლოა, ამ მოწოდებას მოჰყვეს. სოციალურ ქსელში განხორციელებული მოწოდებების, ძალადობის წახალისების შედეგად, შესაძლოა, კონკრეტულ პირს გაუჩნდეს შიშის, ტერორის, მისი უფლებების დარღვევის განცდა, თუმცა ამგვარი განცდები უნდა ეფუძნებოდეს რეალური და ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან აღქმად საკითხებს.

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ კმაყოფილდება რეალური საფრთხის ტესტის მოთხოვნები სახელმწიფომ უნდა შეძლოს ეფექტური რეაგირების განხორციელება პირთა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფოს ხელში არსებული ბერკეტებიდან შესაძლოა გამოყენებული იქნეს სოციალური ქსელიდან კონკრეტული განცხადებების დაბლოკვის ან შეზღუდვის მექანიზმი, ასევე გამოძიების დაწყება და შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება.

რამდენადაც არ არსებობს მკაფიო ზღვრები გამოხატვის თავისუფლებით დაცულ განცხადებებსა და მოწოდებებსა და დასჯად ქმედებებს შორის, აუცილებელია, კანონმდებლობაში მკაფიოდ გაიწეროს, რა შემთხვევაში ექვემდებარება ესა თუ ის განცხადება ან მოწოდება სახელმწიფოს მხრიდან მყისიერ რეაგირებას, პირს უნდა ჰქონდეს მკაფიო განცდა თუ როდის ჩადის სამართალდარღვევას და როდის სარგებლობს გამოხატვის თავისუფლების დაცვით.

⁸¹ Daniel S. Harawa, Social Media Thoughtcrimes, 2014, 18.
https://core.ac.uk/download/pdf/46713346.pdf?fbclid=IwAR1VFOnrDi5BK88dl6wMwOQ7TQfG_RNq_5q_nQkZEW9TB4SG69awK4r4Y57U [13/07/2019]

5. ინტერნეტ შინაარსის რეგულირების სტანდარტები ქართული კანონმდებლობით

ინტერნეტ რეგულირების ფარგლებში საქართველოში მოქმედებს „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება (შემდგომში, რეგლამენტი)⁸², რომელიც სათანადო მომსახურების უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, განსაზღვრავს ელექტრონული მომსახურების, მათ შორის, ინტერნეტის და, შესაბამისად, სოციალური მედიის მომხმარებლისათვის საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ზოგად წესებს და ამგვარი საკომუნიკაციო საშუალებებით მომსახურების განვების წესსა და პირობებს.

აღნიშნული რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი და მე-9 მუხლის პირველი პუნქტი განმარტავს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ცნებას. კერძოდ, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება არის, მათ შორის, ინტერნეტით მომსახურება, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ფართოზოლოვან მომსახურებას, ვებჰოსტინგს, ელექტრონულ ფოსტას და სხვა. ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ ინტერნეტ სივრცე, როგორც გამოხატვის პლატფორმა რეგულირებულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით. ამავე კანონმდებლობით განწერილია ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის განთავსებისა და გავრცელების არეალი, ინტერნეტ პლატფორმის მეშვეობით გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ფარგლები და უფლების შეზღუდვის მექანიზმები.

საქართველოს კონსტიტუციის, ისევე, როგორც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების უფლება, მათ შორის, ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის განთავსების თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და

⁸² „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილება,

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, სათანადო ლეგიტიმური მიზნების უზრუნველსაყოფად, დასაშვებია მისი შეზღუდვა.⁸³ აღნიშნული რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტი ადგენს დაუშვებელი პროდუქციის დეფინიციას და მის ცნებაში მოიაზრებს ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით, მათ შორის, ინტერნეტით გადაცემულ პორნოგრაფიას, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმის ამსახველ, პირადი ცხოვრების შემლახველ, ცილისმწამებლურ, შეურაცხმყოფელ, უდანაშაულობის პრეზუმციის დამრღვევ, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემულ სხვა პროდუქციას. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის ინტერნეტ პლატფორმაში განთავსების შემთხვევაში, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს სხვადასხვა სახის მექანიზმებს მისი გავრცელების პრევენციისათვის.

რეგლამენტი ითვალისწინებს ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული არასათანადო, დაუშვებელი პროდუქციის გავრცელების აღკვეთის რამდენიმე დონიან მექანიზმებს. საუბარია მომსახურების მიმწოდებლის, ინტერნეტდომენის გამცემი, ინტერნეტგვერდის მფლობელის ვალდებულებებზე⁸⁴. ინტერნეტ პლატფორმაზე დაუშვებელი ინფორმაციის განთავსების შემთხვევაში, ხდება ზემოაღნიშნული პირების ვალდებულებების ამოქმედება, რათა, საბოლოოდ უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნულ სივრცეში დაუშვებელი პროდუქციის გავრცელების პრევენცია.

კერძოდ, რეგლამენტის 10¹ მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტის მიერ ისეთი მექანიზმების შემუშავების ვალდებულებას,

⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 43-44.

⁸⁴ რეგლამენტის პირველი პუნქტის „ჰ10“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინტერნეტდომენის გამცემი არის ორგანიზაცია, რომელიც უფლებამოსილია გასცეს და დაარეგისტრიროს ინტერნეტდომენი, ხოლო ამავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომსახურების მიმწოდებელი არის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, ან მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან რესურსებთან ავტორიზებული პირი, რომელსაც განზრახული აქვს ან ახორციელებს ქსელის ან რესურსებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას. „ჰ3“ პუნქტის თანახმად კი, ინტერნეტგვერდის მფლობელი არის პირი, რომლის სახელზეცაა რეგისტრირებული ინტერნეტგვერდი;

რომლებიც შესაძლებლობას მისცემს მას, გააუქმოს ან განაკავშიროს მომხმარებელი თუ გამოვლინდა ან ცნობილი გახდა, რომ ის აწარმოებს არასასურველ ელექტრონულ გზავნილებს, დაუშვებელ პროდუქციას, კომპიუტერულ ვირუსებს, თაღლითურ ან/და სხვა მავნე პროგრამების გავრცელება/გადამისამართებას. გარდა აღნიშნულისა, 10³ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ინტერნეტდომენის გამცემ სუბიექტს ეკისრება მის მიერ რეგისტრირებული ინტერნეტ-გვერდების შინაარსის შემოწმება, იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დომენის გამცემმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მათ აღმოსაფხვრელად, მათ შორის, იგი ვალდებულია, გააფრთხილოს დომენის მფლობელი და განუსაზღვროს ვადა დაუშვებელი პროდუქციის ამოღებისათვის; გაფრთხილების უგულვებელყოფის შემთხვევაში კი, დაბლოკავს ვებ-გვერდს. ამავე დადგენილების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოცემულ შემთხვევაშიც, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, მოახდინოს რეაგირება დაუშვებელი პროდუქციის განთავსების თაობაზე მიღებულ ინფორმაციაზე და გაატაროს ღონისძიებები მისი აღმოფხვრის მიზნით; მსგავსი შინაარსისაა, აგრეთვე დადგენილების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, მომსახურების მიმწოდებელი მომხმარებლის შეტყობინების საფუძველზე ახდენს რეაგირებას და იღებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლო ზომას, რომ არ მოხდეს მისი ქსელის მეშვეობით დაუშვებელი პროდუქციის შემცველი შეტყობინების გადაცემა.

აღნიშნული რეგულაციები ქმნის იმ მექანიზმების ერთობლიობას, რომლის შესაბამისადაც, დაუშვებელი პროდუქციის განთავსების/გავრცელების შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მიმართოს ყველა შესაძლო ზომას დაუშვებელი ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვისა და აღკვეთისათვის, მათ შორის, გააუქმოს და განაკავშიროს მომსახურების მიმღები, რაც გულისხმობს, ინტერნეტის გადაცემის შეწყვეტასა და ხელშეკრულების გაუქმებას. ამავდროულად, აღნიშნულისაგან დამოუკიდებლად ინტერნეტდომენის გამცემსაც ეკისრება ვალდებულება, ერთჯერადი გაფრთხილების შემდეგ, დაუშვებელი პროდუქციის გამავრცელებელ სუბიექტს დაუბლოკოს მთელი ინტერნეტგვერდი.

დასახელებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ინტერნეტდომენის გამცემს და მომსახურების მიმწოდებელს აქვს დისკრეცია თავად განსაზღვრონ, რიგ

შემთხვევაში, რა შეიძლება იყოს არასათანადო, დაუშვებელი პროდუქცია, რომლის განთავსებაც ხდება ინტერნეტ სივრცეში. შესაბამისად, ინტერნეტ გვერდზე ინფორმაციის განმთავსებელი სუბიექტი შეზღუდულია ინტერნეტდომენის გამცემი სუბიექტის უფლებამოსილებით, რომელსაც შეუძლია მოსთხოვოს მფლობელს ინტერნეტ შინაარსის კორექტირება, წაშლა ან ამოღება, შეუსრულებლობის შემთხვევაში კი დაბლოკოს ინტერნეტგვერდი (და არა წაშალოს დაუშვებელი პროდუქცია, ინდივიდუალურ შემთხვევაში).

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, დაუშვებელი პროდუქციის ინტერნეტში გავრცელებასა და ინტერნეტგვერდის მფლობელის მიერ მისი კორექტირების ან წაშლის შემთხვევაში, ფილტრაციის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დაუშვებელი პროდუქციის განთავსების პრევენციას, მაგალითად, youtube, facebook და სხვა საერთაშორისო, გლობალური სოციალური სივრცეები და ვებ-გვერდები ითვალისწინებს ამგვარი ფილტრაციის სისტემებს. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ფილტრაციის სისტემა დამოკიდებულია აგრეთვე, ვებ-გვერდების ინდივიდუალურ პოლიტიკაზე, გადაწყვეტილებებზე, თვითრეგულირების მექანიზმებზე, მომსახურების პირობებზე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა არ გვცემს მკაფიო პასუხს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც უკანონო ინფორმაცია განთავსებულია უცხოურ გიგანტურ მედია საშუალებებზე. ამ შემთხვევაში დომენის მფლობელი რეგისტრირებული არ არის საქართველოში, შესაბამისად დომენის გამცემი მასზე სამართლებრივ ზემოქმედებას ვერ მოახდენს. მომსახურების მიმწოდებელს ბუნებრივია შეუძლია უკანონო შინაარსის გამო მთლიანად დაბლოკოს ფეისბუქზე წვდომა მომხმარებლებისთვის, თუმცა აღნიშნული ღონისძიება იმდენად დისპროპორციულ და არაგონივრულ მექანიზმს წარმოადგენს, რომ მისი აღსრულება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამრიგად, საჭიროა არსებობდეს მკაფიო მექანიზმები, იმისათვის, რომ ფართომასშტაბიან მედია საშუალებებზე მოხდეს კანონის ფარგლებში რეაგირება და კონკრეტულ მასალაზე წვდომის შეზღუდვა. მართალია დიდ სოციალურ მედიებს აქვთ თავიანთი საზოგადოებრივი სტანდარტები, რომლითაც არეგულირებენ უკანონო მასალაზე წვდომის შეზღუდვას, თუმცა მიზანშეწონილია გაინეროს ის მინიმალური სტანდარტები, რაც უნდა მოქმედებდეს ამ სფეროში, ან

სხვა შემთხვევაში, ის თუ როგორი თანამშრომლობა და ურთიერთმიმართება აქვს სახელმწიფოს სოციალური მედიის საზოგადოებრივ სტანდარტებთან.

სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს მცირე მასშტაბის მქონე სოციალური მედიის დარეგულირება, ასეთი ვებ-გვერდის მიზნებია გაავრცელოს პოპულისტი, სენსტიტიური, მეტ-ნაკლებად მცდარი ინფორმაცია და მის საფუძველზე მოიზიდოს ფართო აუდიტორია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თვითრეგულირების მექანიზმი თანამდეროვე საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული, იმ შემთხვევაში თუ იგი დაკარგავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფექტურობას, აუცილებელია არსებობდეს მექანიზმი, მაგალითად, დაუშვებელი შინაარსის კორექტირებისათვის ან/და წაშლისათვის. ამავდროულად, აღნიშნული მექანიზმი, არ უნდა ატარებდეს ბლანკეტურ ან თვითნებურ, არაპროპორციულ ხასიათს.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერნეტ სივრცეში გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის. სოციალური მედია პლატფორმა ყველა ადამიანს აძლევს შესაძლებლობას ღიად დაათქმინოს საკუთარი იდეა, გამოთქვას კრიტიკული აზრი, გამართოს დისკუსია პოლიტიკური ფიგურის ანგარიშზე, მოახდინოს საზოგადოებრივი პროტესტისა და სოციალური მოძრაობების ორგანიზება.

აღსანიშნავია ის გამოწვევებიც, რაც თან ახლავს ამ სივრცეში არსებულ გამოხატვას. სოციალური ქსელები ხშირად გამოიყენება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და მომხმარებლებზე მანიპულირების მიზნით. ამ მხრივ ონლაინ სივრცეში ხშირად ვაწყდებით დეზინფორმაციას, რაც ძირს უთხრის და აფერმკრთალებს გამოხატვის თავისუფლებას. აგრეთვე სიძულვილის ენა, დანაშაულისკენ, ეროვნული და ეთნიკური შუღლისკენ მონოღება და უხამსობის გავრცელება არის ის ძირითადი პრობლემები, რომელსაც ვაწყდებით სოციალურ მედიაში.

აღსანიშნავია, აგრეთვე სოციალური პლატფორმის რეგულირების ასპექტები. იგი რეგულირდება არა მხოლოდ სახელმწიფო მექანიზმებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მეშვეობით, არამედ მასშტაბური პლატფორმების მიერ დადგენილი თვითრეგულირების მექანიზმებით - საზოგადოებრივი სტანდარტები და სერვისის პირობები, რომლებსაც ეთანხმებიან მომხმარებლები რეგისტრაციამდე. ინტერნეტ შინაარსის რეგულირებისას კანონმდებლის გამოწვევაა მოაწესრიგოს ინტერნეტ-გამოხატვა იმგვარად, რომ, ერთი მხრივ, მოუწესრიგებელი არ დარჩეს გამოხატვის ისეთი უკანონო შემთხვევები, რომელიც საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელ რეაგირებას, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალურ პლატფორმებს მიეცეთ მიხედულების ფართო ფარგლები, თავად განსაზღვრონ და შეათვასონ თუ რომელი შინაარსი შეიძლება იყოს უკანონო ან საზიანო მომხმარებლებისთვის და შემოიღონ ამ ინფორმაციის ამოღების მოქნილი მექანიზმები. ამდენად, აღნიშნულ სფეროში ხშირ შემთხვევაში თანარეგულირების და თვითრეგულირების მექანიზმები შესაძლოა იყოს ეფექტური საშუალებები, რათა გადამეტებულად არ შეიზღუდოს გამოხატვა. ხოლო, მინიმალური სტანდარტების არსებობა კრიტიკულად აუცილებელია, რათა წვრილი მედია საშუალებები, რომლებიც საზრდოობენ პროპაგანდით, დეზინფორმაციითა

და სენსაციონალიზმით და ნაკლებად ზრუნავენ მათ რეპუტაციაზე, არ იქცნენ დეზინფორმაციის გავრცელების ნოყიერი საშუალებად.

ამრიგად, სოციალური მედია წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების მზარდ ონლაინ პლატფორმას. მისი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება და გადატარავს ისეთ ტრადიციულ ინფორმაციულ საშუალებებს, როგორცაა სამაუნწყებლო მედია და ბეჭდური პრესა. ამრიგად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ამ სფეროში არსებობდეს გონივრული ბალანსი, გამოხატვის თავისუფლებასა და კონსტიტუციით დაცულ სხვა ინტერესებს შორის. გათვალისწინებული იყოს ონლაინ გამოხატვის ყველა თავისებურება და რეაგირების მექანიზმები ვინროდ მიზანმიმართული იყოს ამ პლატფორმის თავისებურებებზე.

ბიბლიოგრაფია

ძირითადი ლიტერატურა:

- Andrea Calderaro, Social media and politics, 2018;
https://www.researchgate.net/publication/322273564_Social_Media_and_Politics
[13/07/2019]
- Article 19, freedom of expression and ICTs: overview of international standards, 2013;
<https://www.article19.org/wp-content/uploads/2018/02/FoE-and-ICTs.pdf>
[13/07/2019]
- Article 19, Self-regulation and “hate speech” on social media platforms, 2018.
https://www.article19.org/wp-content/uploads/2018/03/Self-regulation-and-%E2%80%98hate-speech%E2%80%99-on-social-media-platforms_March2018.pdf
[13/07/2019]
- Association for progressive Communications, Content Regulation in the Digital Age, 2018;
<https://www.ohchr.org/Documents/Issues/Opinion/ContentRegulation/APC.pdf>
[13/07/2019]
- Charlotte Spencer-Smith, Dealing with hate speech on social media, 2018;
<https://static1.squarespace.com/static/5a04d25332601e4102718c45/t/5a85fbb70d92975679fa18db/1518730167290/Hate+Speech+on+Social+Media.pdf> [13/07/2019]
- Commission of the European communities, Illegal and harmful content on the internet, 1996;
<http://aei.pitt.edu/5895/1/5895.pdf> [13/07/2019]
- Corinne Tan, Regulating content on social media, 2018;
<http://discovery.ucl.ac.uk/10045814/1/Regulating-Content-on-Social-Media.pdf>
[13/07/2019]
- Daniel S. Harawa, Social Media Thoughtcrimes, 2014;
https://core.ac.uk/download/pdf/46713346.pdf?fbclid=IwAR1VFOnrDi5BK88dl6wMwOOQ7TQfG_RNq_5qnQkZEW9TB4SG69awK4r4Y57U [13/07/2019]
- Department of electronic and information technology, Framework & Guidelines for use of social media for government organizations, 2011;

<http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/cgg/unpan047510.pdf>
[13/07/2019]

- Directorate General for internal policies, Providers liability: from the ecommerce directive to the future, 2017;
[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2017/614179/IPOL_IDA\(2017\)614179_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2017/614179/IPOL_IDA(2017)614179_EN.pdf) [13/07/2019]
- House of Commons , Disinformation and ‘fake news’: Final Report, 2019;
<https://publications.parliament.uk/pa/cm201719/cmselect/cmcumeds/1791/1791.pdf>
[13/07/2019]
- Jasmine Renner, Ivy Click, The writing on My Wall: Freedom of Expression, First amendment, and Social Media – New faculty rights concerns, 2014;
https://www.researchgate.net/publication/270875533_The_Writing_on_My_Wall_Freedom_of_Expression_First_Amendment_and_Social_Media_-_New_Faculty_Rights_Concerns [13/07/2019]
- Klara Votavova, Jakub Janda, Making online platforms responsible for news content, 2017;
https://www.kremlinwatch.eu/userfiles/making-online-platforms-responsible-for-news-content_15220851525026.pdf [13/07/2019]
- Luis W. Tompros, Richard A. Crudo, Alexis Pfeiffer, Rahel Boghossian, The constitutionality of criminalizing false speech made on social networking sites in a post-Alvarez, social media-obsessed World, 2017;
<https://jolt.law.harvard.edu/assets/articlePDFs/v31/31HarvJLTech65.pdf> [13/07/2019]
- Nato StratCom Coe Singularex, The black market for social media manipulation, 2018.
<https://www.stratcomcoe.org/black-market-social-media-manipulation> [13/07/2019]
- Organization for security and Co-operation in Europe, Freedom of expression on the internet, 2010;
<https://www.osce.org/fom/105522?download=true> [13/07/2019]
- Paulina Wu, impossible to regulate: social media, terrorists, and the role for the U.N., 2015;

<https://chicagounbound.uchicago.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1690&context=cjil>
[13/07/2019]

- Peter Coe, The social media paradox: an intersection with freedom of expression and the criminal law, 2014;
https://research.aston.ac.uk/portal/files/16257882/Social_media_paradox_an_intersection_with_freedom_of_expression_and_the_criminal_law.pdf?fbclid=IwAR0s7be5GnJs7gIkvVL1vzGgYYDPeSjYDkY-tr-k-tiwGNmdhGB9nk3-SW0 [13/07/2019]
- Policy department for citizens' rights and constitutional affairs, Disinformation and propaganda – impact on the functioning of the rule of law in the EU and its member states, 2019;
[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2019/608864/IPOL_STU\(2019\)608864_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2019/608864/IPOL_STU(2019)608864_EN.pdf) [13/07/2019]
- Srija Kumar, Neil Shah, False information on web and social media: A survey, 2018;
<https://arxiv.org/pdf/1804.08559.pdf> [13/07/2019]
- Sylva M. Chan-Olmsted, Moonhee Cho, Sangwon Lee, User Perceptions of social media: A comparative Study of perceived characteristics and user profiles by social media, 2013;
<https://pdfs.semanticscholar.org/4a62/c2e08d6a18664968f58c059fa19092b05e38.pdf>
[13/07/2019]
- Unesco series of Journalism education, Journalism, fake news & disinformation, 2018;
https://en.unesco.org/sites/default/files/journalism_fake_news_disinformation_print_friendly_0.pdf [13/07/2019]
- Valerie C. Brannon, Free speech and the regulation of social media content, 2019;
<https://fas.org/sgp/crs/misc/R45650.pdf> [13/07/2019]

სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
- „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების

თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილება,

- Additional Protocol to the Convention on Cybercrime, concerning the criminalisation of acts of a racist and xenophobic nature committed through computer system;
- European Commission and IT Companies announce Code of Conduct on illegal online hate speech;
- European Parliament resolution of 23 November 2016 on EU strategic communication to counteract propaganda against it by third parties

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მათაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მუჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- European Court of Human Rights, Savgin v. turkey, 13304/03, 02/02/2010;
- European Court of Human Rights, Aleksey Ovchinnikov v. Russia, 24061/04, 16/12/2010;
- European Court of Human Rights, Editorial Board of Pravoye Delo and Shtekel v. Ukraine, 33014/05, 05/05/2011;
- European Court of Human rights, Ahmet Yildirim v. Turkey, 3111/10, 18/12/2012;

- European Court of Human Rights, Eon v. France, 26118/10, 14/03/2013;
- European Court of Human Rights, [GC], Delfi AS v. Estonia, 64569/09, 16/06/2015;

აშშ-ს სასამართლოების გადანაცვებები:

- Supreme Court of United States, Reno v. ACLU, 26/06/1997, 521, U.S. 844;
- Supreme Court of United States, Pachingham v. North Carolina, 19/06/2017, 137 S. Ct. 1730.
- Knight First Amendment Inst. at Columbia Univ. v. Trump, 302 F. Supp. 3d 541, 2018 U.S. Dist;

დამატებითი ინფორმაცია:

- აშშ-ს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის თვითფერი;
https://twitter.com/realDonaldTrump?ref_src=twsrc%5Egoogle%7Ctwcamp%5Eserp%7Ctwgr%5Eauthor [13/07/2019]
- #სირცხვილია! 14.0 — საქართველოს პარლამენტთან საპროტესტო აქცია გრძელდება;
<https://urlzs.com/J9kPT>
- Disinformation cases;
https://euvsdisinfo.eu/disinformation-cases/?text=georgia&disinfo_issue=&date=&offset=0 [13/07/2019]
- Facebook community standard;
<https://www.facebook.com/communitystandards/introduction> [13/07/2019]
- Facebook's role in the French protests has polarized observers;
<https://www.theverge.com/2018/12/11/18135273/yellow-vest-facebook-france-protests> [13/07/2019]
- Final Say: The misinformation that was told about Brexit during and after the referendum;
<https://www.independent.co.uk/news/uk/politics/final-say-brexit-referendum-lies-boris-johnson-leave-campaign-remain-a8466751.html> [13/07/2019]
- How fake news helped shape the Catalonia independence vote;

https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2017/10/19/how-fake-news-helped-shape-the-catalonia-independence-vote/?noredirect=on&utm_term=.184f6a8d0cb3 [13/07/2019]

- Online disinformation and manipulation targeted elections in at least 18 countries;
<https://www.stopfake.org/en/online-disinformation-and-manipulation-targeted-elections-in-at-least-18-countries/> [13/07/2019]
- Tbilisi: We dance together, we fight together;
<https://boilerroom.tv/session/boiler-room-georgia-bassiani> [13/07/2019]
- Twitter has deleted 235,000 terrorist-related user accounts in the past six months;
<https://www.vox.com/2016/8/18/12539458/twitter-deletes-terrorism-accounts-isis>
[13/07/2019]